განათლების სექტორის მიმოხილვა

ეთნიკური უმცირესობების და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების გამოწვევების იდენტიფიცირება

2022

ავტორები:

გივი ადეიშვილი

მარიამ საღარეიშვილი

ლანა ჟამურაშვილი

რედაქტორი:

ლევან ავალიშვილი

IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მოცემული მასალა მომზადდა პროექტის „კვლევისა და საჯარო ღონისძიებების მხარდაჭერა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის საქართველოს განათლების სისტემაში, COVID-19 პანდემიის განმავლობაში“ ფარგლებში.

პროექტი ნაწილობრივ განხორციელდა ფონდი ღია საზოგადოების ინსტიტუტის გრანტით, ღია საზოგადოების ფონდების ევრაზიის პროგრამასთან თანამშრომლობით.

პროექტის ფინანსური მხარდამჭერი, ასევე, არის შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA).

შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. ფონდი ღია საზოგადოების ინსტიტუტი და Sida, შესაძლოა, არ იზიარებდნენ გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

სარჩევი

1. შესავალი 01

2. ძირითადი მიგნებები 03

3. განათლების სექტორის მიმოხილვა 07

3.1 ზოგადი განათლების სექტორი 10

3.2 პროფესიული განათლების სექტორი 15

3.3 უმაღლესი განათლების სექტორი 19

4. განათლება ეთნიკური უმცირესობებისთვის 23

5. განათლება სსსმ პირებისთვის 30

6. COVID-19 და პოსტპანდემიური პერიოდი 34

6.1 ტექნოლოგიასა და ინტერნეტთან წვდომა 34

6.2 ტელეკომუნიკაციების სექტორი 37

6.3 მოსწავლეების დაბრუნება საკლასო ოთახებში 39

7. ფოკუს-ჯგუფის კვლევა და რეგიონული შეხვედრები 42

7.1 თვისებრივი კვლევა 42

7.1.1 არაქართულენოვანი სკოლები 43

7.1.2 ქართულენოვანი სკოლები 49

7.2 რეგიონული შეხვედრის შედეგები 51

7.2.1 პოსტ COVID-19 პერიოდში განათლების სისტემაში არსებული გამოწვევები 51

7.2.2 მოწყვლადი ჯგუფების პრობლემები 53

8. რეკომენდაციები 55

აბრევიატურები 59

1. შესავალი

ღია საზოგადოების ფონდის (OSF) მიერ დაფინანსებული პროექტის „კვლევისა და საჯარო ღონისძიებების მხარდაჭერა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის საქართველოს განათლების სისტემაში, COVID-19 პანდემიის განმავლობაში" ფარგლებში, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), მოამზადა საქართველოს განათლების სექტორში მიმდინარე ტენდენციებისა და გამოწვევების მიმოხილვა, 2022 წლის აგვისტოს თვის მდგომარეობით. COVID-19 პანდემიამ წარმოაჩინა განათლების სექტორში არსებული გამოწვევები და დისტანციური სწავლების შეფერხებებით მიმდინარეობის ფონზე, IDFI-ის მიერ შეფასებული დანაკარგების დღევანდელმა ღირებულებამ 55 მლრდ. ლარს მიაღწია.[1] მიმდინარე კვლევის მიზანს წარმოადგენს არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება ეთნიკური უმცირესობებისთვის და მოწყვლადი ჯგუფებისათვის, და საპასუხო ღონისძიებების შეთავაზება დაინტერესებული მხარეებისათვის.

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 87% ეთიკურად ქართველი, ხოლო 13% სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელია. აზერბა-იჯანელი და სომეხი ეროვნების წარმომადგენლები 6%-სა და 5%-ს შეადგენდნენ, შესაბამისად.

განათლების შესაძლებლობა კონსტიტუციით არის უზრუნველყოფილი და მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ქვეყანაში მცხოვრებ მოსახლეობას განათლების მიღების თანაბარი პირობები შეუქმნას, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა თუ სოციალური ჯგუფისა. აღნიშნული, ქვეყანას დაეხმარება განავითაროს კვალიფიციური ადამიანური კაპიტალი და ხელი შეუწყოს მოსახლეობის ინტეგრაციას შრომით ბაზარზე.

2008 წელს, ეუთოს მხარდაჭერით შეიქმნა მოწყვლადი ჯგუფების[2] ინტეგრაციის სამოქმედო გეგმა (2009-2014 წ.წ.), რომელიც ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობებისათვის განათლების ხელმი-საწვდომობის ზრდას. ასევე, 2015 წლის აგვისტოში დამტკიცდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას სახელმწიფო და ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე.[3]

საქართველოში 2015 წლიდან დაიწყო მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ეროვნული პოლიტიკის დღის წესრიგში დანერგვის პროცესი. მე-4 მიზანი ეხება ხარისხიან განათლებას, რაც გულისხმობს ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფას და ყველასათვის უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნას.

[1] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2021, განათლების სექტორის მიმოხილვა COVID-19 პანდემიის პირობებში

[2] ადამიანთა ჯგუფი, რომლებსაც შეზღუდული აქვთ წვდომა საზოგადოებრივ ასპექტებზე, როგორებიც სხვებისათვის ადვილად ხელმისაწვდომია. https://matsne.gov.ge/ka/document/download/3190635/0/ge/pdf

[3] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2958879?publication=0

განათლების სექტორში ეთნიკური უმცირესობების გამოწვევების თაობაზე ჩატარებულ კვლევებში გამოვლინდა, რომ ენობრივი ბარიერი მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საქართველოში და მაღალი უმუშევრობიდან გამომდინარე ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის მიგრაციას იწვევს უცხო ქვეყნებში.[4] ასევე, გამოწვევას წარმოადგენს სახელმძღვანელოების თარგმნის დაბალი ხარისხი, მასწავლებლების კვალიფიკაცია, და მრავალენოვანი სწავლების დაბალი ეფექტურობა.[5]

UNICEF-ის კვლევამ აჩვენა, რომ პანდემიამ ყველაზე მძიმე დარტყმა მოსახლეობის დაუცველ ფენებს მიაყენა, განსაკუთრებით კი მოწყვლად ბავშვებს, რომლებსაც შეზღუდულად ან საერთოდ არ მიუწვდებოდა ხელი დისტანციურ სწავლაზე.[6]

განათლების სექტორში გამოწვევების იდენტიფიცირების და საჯარო მომსახურების ხარისხისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით, პროექტის გუნდმა კვლევის განსახორციელებლად შეიმუშავა შემდეგი ნაბიჯები:

- მკვლევრების გუნდმა ჩაატარა ზოგადი განათლების სექტორის წინასწარი ანალიზი და შეიმუშავა კვლევის სტრუქტურა.
- მონაცემების მოძიება მოხდა ღია წყაროებიდან პირდაპირი ანალიზის და საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის გამოთხოვის საფუძველზე. შეგროვებული მონაცემები, გამოყენებული იყო თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევისათვის.
- თვისებრივი კვლევის მიზნით, ფოკუს ჯგუფები მიმდინარეობდა დისტანციური ფორმატით (მათ შორის ეთნიკურ უმცირესობებთან).
- ასევე, პროექტის გუნდი გაემგზავრა ერთ-ერთ რეგიონში და ადგილზე გამართა ინფორმაციული შეხვედრა საჯარო სკოლის მასწავლებლებთან და მასწავლებელთა პროფკავშირის წარმომადგენლებთან.
- პროექტის ფარგლებში ჩვენი პარტნიორები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“ და „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი“, ხოლო სოციოლოგიური კვლევის ნაწილში, სოციოლოგი გიორგი ურჩუხიშვილი.

IDFI მიზნად ისახავს გაზარდოს საზოგადოების ინფორმირებულობა სექტორში არსებული გამოწვევების შესახებ, კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნებით და ფართო აუდიტორიისთვის კვლევის შედეგების გაცნობით.

[4] ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2017, სტუდენტების განწყობა უმცირესობებისადმი და მედიის როლი

[5] ამირეჯიბი, გაბუნია, 2021, საქართველოს უმცირესობები: ინტეგრაციის გზაზე არსებული ბარიერების ნგრევა

[6] UNICEF, 2020, მოწყვლადი ბავშვები და რისკები ახალი კორონავირუსის (COVID-19) დროს

2. ძირითადი მიგნებები

განათლების სექტორი

- **განათლების სექტორის დაფინანსება არ არის საკმარისი და წილი მშპ-ში მცირეა.** ჯამური დანახარჯი განათლებაზე საშუალო წლიურად 7.9%-ით იზრდებოდა ათი წლის განმავლობაში (6.9% ინფლაციით დაკორექტირებული). თუმცა, 2021 წელს დანახარჯების წილი მშპ-ში შემცირდა და 3.6% შეადგინა, რაც ბოლო ათი წლის მინიმალური მაჩვენებელია.

- **მოსწავლეების რაოდენობის ზრდასთან ერთად სკოლებისა და მასწავლებლების რაოდენობა მცირდება, რაც ზრდის როგორც სკოლების, ისე მასწავლებლების დატვირთვას.** 2021 წელს, მასწავლებელთა რაოდენობა 63,000 იყო, რაც -9%-ით ნაკლებია 2013/2014 სასწავლო წელთან შედარებით, მაშინ, როდესაც იმავე პერიოდში მოსწავლეების რაოდენობა 12%-ით გაიზარდა. დღეისათვის, ერთ მასწავლებელზე საშუალოდ 10 მოსწავლე მოდის.

- **მასწავლებლების საშუალო ასაკი საჯარო სკოლებში უფრო მაღალია, კერძო სკოლებთან შედარებით.** საჯარო სკოლებისთვის, მასწავლებლის საშუალო ასაკი 50 წელია, კერძო სკოლებში კი 45 წელი.

- **მოსწავლეთა 1%-მა მიატოვა სკოლა 2020/2021 სასწავლო წელს. ბიჭების წილი ამ მოსწავლეებში 57% იყო.** მიუხედავად იმისა, რომ დაწყებითი და საბაზო განათლება საქართველოში სავალდებულოა, იმ მოსწავლეების 40% ვინც 2020/2021 წელს სწავლა მიატოვა, მეათე კლასის ქვემოთ იყო.

- **საქართველოს განათლების სექტორში სოციალური უთანასწორობაა.** 2021 წელს, სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების 84% საკლასო ოთახებში დაბრუნდა, ხოლო ქალაქებში ამ რიცხვმა 67% შეადგინა. დისტანციური სწავლებისთვის აუცილებელი ტექნიკის არ ქონა და ინტერნეტთან დაბალი ხელმისაწვდომობა აიძულებდა სოფელში მცხოვრებ მოსწავლეებს, რომ უფრო მეტად ყოფილიყვნენ დამოკიდებული ტრადიციულ სწავლების მეთოდებზე.

- **პროფესიული სასწავლებლების პოპულარობა მცირდება.** ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა 2021 წელს 47%-ით შემცირდა 2013 წელთან შედარებით. ჩარიცხული სტუდენტების კლებასთან ერთად აღინიშნება კურსდამთავრებულთა კლებაც. 2021 წელს 6,800 სტუდენტმა დაამთავრა პროფესიული სასწავლებელი, რაც 2013 წლის მაჩვენებელს 37%-ით ჩამორჩება.

- **უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე მოთხოვნა გაიზარდა.** 2021 წელს, ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხვი დაახლოებით 160,000-ია, რაც 46%-ით აღემატება 2012/2013 წლების მაჩვენებელს. სტუდენტების 64% ჩაირიცხა საჯარო სასწავლებლებში და 36% კერძო სასწავლებლებში.

- **სტუდენტების წილი, რომლებმაც მოიპოვეს ხარისხი საშუალოდ 50%-ია.** საჯარო უნივერსიტეტებში კურსდამთავრებულთა წილი 59%-ია, კერძოში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მცირეა და 45%-ს შეადგენს.

- **საქართველოში უმუშევრობის დონე უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალაში ბევრად მაღალია ვიდრე სხვა ქვეყნებში,** OECD წევრებისა (6.1%) და ევროკავშირის ქვეყნების (5.5%) ჩათვლით, რაც ჩვენი უმაღლესი განათლების დაბალ ხარისხზე მიუთითებს.

- **საქართველოში 35,000-ზე მეტ ბავშვს არასდროს გამოუყენებია ინტერნეტი, შესაბამისად, არ ჰქონდა წვდომა დისტანციურ სწავლებაზე.** ეს ციფრი 2021 წლის ივლისში, 5-დან 14 წლამდე ბავშვებში დაახლოებით 7% იყო.

ეთნიკური უმცირესობები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირები

- **საქართველო ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა.** 2014 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 13.2% ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენს, ძირითადად, ეთნიკურად აზერბაიჯანელი (6.3%), სომეხი (4.5%) და რუსი (0.7%) ეროვნების წარმომადგენლები.

- **2021-2022 სასწავლო წლის მონაცემებზე დაყრდნობით,** არაქართულენოვანი სკოლები საქართველოს საჯარო სკოლების 10%-ს შეადგენს (207 მთელი საქართველოს მასშტაბით).

- **საქართველოში 54,325 არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეა, რაც მოსწავლეების საერთო რაოდენობის 9%-ს შეადგენს.** არაქართულენოვან მოსწავლეთა 48% აზერბაიჯანულენოვანია, 27% - რუსული, ხოლო 25% კი სომხურენოვანია.

- **სპეციალურ მასწავლებლებზე გაზრდილია მოთხოვნა.** ყოველწლიურად იზრდება საჯარო სკოლებში იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაც აქვთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. 2021 წელს, სსსმ მოსწავლეების რაოდენობამ 10,500-ს გადააჭარბა, რაც 21-ჯერ აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს.

- **პროფესიულ განათლებაზე წვდომა ეთნიკური უმცირესობებისთვის გაიზარდა.** აღნიშნულს ხელი შეუწყო გადაწყვეტილებამ, რომ მსურველებს შეუძლიათ პროფესიულ სასწავლებელში მოსახვედრად პროფესიული ტესტირება ჩააბარონ სომხურ, რუსულ ან აზერბაიჯანულ ენაზე. 2021 წელს, არაქართულენოვანი ტესტირების საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა 250 აპლიკანტი, რაც 17-ჯერ აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს.

- **პროფესიულ სასწავლებლებში სსსმ პირების რაოდენობა იზრდებოდა 2016 წლამდე, შემდეგ კი ტენდენცია შეიცვალა.** 2020 წელს, სსსმ სტუდენტების რაოდენობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მინიმალურ მაჩვენებელზე ჩამოვიდა (164 სსსმ სტუდენტი), რაც COVID-19 პანდემიის უარყოფით გავლენაზე მიუთითებს.

- **სსსმ პირების წილი სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს შორის ყოველწლიურად იზრდება.** 2021 წელს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებული სტუდენტების 37%-მა შეიჩერა სტატუსი. მათგან 2.5% სსსმ სტუდენტებზე მოდის, რაც ბოლო ცხრა წლის მაქსიმალური მაჩვენებელია.

- **ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლეს განათლებაზე წვდომა გაზრდილია.** მოქმედებს „1+4“ პროგრამა[7], რომლის პოპულარობა წლიდან წლამდე იზრდება. 2010 წლიდან 2018 წლამდე 5-ჯერ გაიზარდა ეთნიკურ უმცირესობათა სტუდენტების რაოდენობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

- **ენის ბარიერი ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა და პანდემიამ აღნიშნული კიდევ უფრო გაამწვავა.** პანდემიამდე სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელების რაოდენობა ნელი ტემპებით იზრდებოდა, თუმცა COVID-19 პანდემიამ მსურველთა მკვეთრი შემცირება გამოიწვია 2,059-მდე (-42%, წ.წ.).

- **ეთნიკური უმცირესობების მთავარი გამოწვევა მასწავლებელთა არასაკმარისი რაოდენობა და დაბალი კვალიფიკაციაა.** საქართველოში 2018-2022 წლებში 309 მასწავლებელზე გამოცხადებული ვაკანსია დარჩა შეუვსებელი. რაც შეეხება მასწავლებელთა კვალიფიკაციას, 2021 წლისთვის მასწავლებელთა მხოლოდ 27%-ია გადამზადებული.

თვისებრივი კვლევითა და რეგიონული შეხვედრით გამოვლენილი, ყველაზე პრობლემური საკითხები:

- **სახელმძღვანელოების თარგმანის დაბალი ხარისხი და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან აცდენა.** რესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ სახელმძღვანელოების თარგმანის დროს დაშვებული შეცდომები ტექსტს სრულიად გაუგებარს ხდის მოსწავლეებისთვის.

- **არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებელთა არასაკმარისი რაოდენობაა, განსაკუთრებით მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიის და მათემატიკის საგნებში (ე.წ. STEM).** როგორც აზერბაიჯანულენოვან, ისე სომხურენოვან სკოლებში ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებელთა სიმცირეა, განსაკუთრებით კი სოფლებში. მოსწავლეებს უწევთ, რომ ყოველდღე მუნიციპალიტეტის ცენტრის სკოლებში იარონ.

- **ეთნიკური უმცირესობებისათვის სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსების კუთხით სიტუაცია გაუმჯობესებულია, თუმცა არსებული პროგრამები საკმარისი არაა.** პროგრამები „ქართული, როგორც მეორე ენა“ და „1+4“ მოწონებას იმსახურებს, თუმცა ქართული ენის შემსწავლელი კურსები ნაკლებად ხელმისაწვდომია მუნიციპალური ცენტრების გარეთ სოფლებში.

[7] პროგრამა ითვალისწინებს ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარებას სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ ენებზე და სათანადო ქულების დაგროვების შემთხვევაში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას.

- **ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდები, ისინიც კი, ვინც ქართულს ფლობს ვერ ახერხებენ საჯარო სექტორში დასაქმებას.** ეს, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, დისკრიმინაციის გარკვეული ფორმაა.

- **ეთნიკური უმცირესობებისთვის სკოლის მიტოვების მაჩვენებელი ისევ მაღალია.** ძირითადი მიზეზები არის ახალგაზრდა ქალების შემთხვევაში-ადრეული ქორწინება, სეზონური სამუშაოები - ახალგაზრდა კაცების შემთხვევაში. რესპონდენტების მიხედვით, სახელმწიფო ჯერჯერობით ამ კუთხით არ დგამს ქმედით ნაბიჯებს და არ აწარმოებს რაიმე საინფორმაციო კამპანიას.

- **როგორც ქართულენოვან, ისე არაქართულენოვან სკოლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არის კლასებში მოსწავლეების ჭარბი რაოდენობა.** რესპონდენტი მასწავლებლების თქმით, რთულია 30 მოსწავლის მართვა განსაკუთრებით კი პოსტ COVID-19-ის პერიოდში, როცა მოსწავლეები გაუცხოებულები არიან სასწავლო გარემოს და სასწავლო უნარ-ჩვევების ნაკლებობას განიცდიან.

- **გამოკითხული მშობლებისათვის, ინგლისური სახელმძღვანელოები მნიშვნელოვანი გამოწვევაა.** მშობლებს არ მოსწონთ ინგლისურის სახელმძღვანელოები. მათი თქმით, სახელმძღვანელოები მოსწავლეებისათვის ოდნავ რთული და გაუგებარია, განსაკუთრებით მათთვის, ვისმა მშობლებმაც ინგლისური არ იციან და ვერ ახერხებენ შვილების დახმარებას.

- **საგნობრივი ჩამორჩენა სკოლებში პოსტ COVID-19-ის პირობებში.** შემცირებული საგაკვეთილო დროისა და კლასში მოსწავლეების ჭარბი რაოდენობის გამო, მოსწავლეები ჩამორჩნენ პროგრამას. ზოგიერთ საგანში კი მასწავლებლებმა ვერ მოასწრეს პროგრამის სრულად გავლა, რაც სკოლაში დაბრუნების შემდგომ ანაზღაურდა და მოსწავლეთა გადატვირთვა, ფსიქოლოგიური დაძაბულობის ზრდა გამოიწვია.

- **სკოლების უმრავლესობა ადაპტირებული არაა სსსმ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად.** რესპონდენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ სკოლაში არაა პანდუსი და ადაპტირებული საპირფარეშო. ასევე, ოთახში, რომელიც უნდა იყოს აღჭურვილი მოსწავლეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ყველა აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით (ე.წ. "რესურს" ოთახი), რესურსების სიმცირეა.

- **ფსიქოლოგის არარსებობა სკოლებში, რაც ამწვავებს COVID-19-ით წარმოქმნილ პრობლემებს.** ამასთანავე, რესურს ოთახს უნდა ემსახურებოდეს სკოლის ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, მეტყველების თერაპევტი და ყველა ის მასწავლებელი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ინკლუზიური განათლების პროცესში მონაწილეობს[8]. თუმცა, რესპონდენტები აცხადებენ, რომ მათ სკოლაში არ არის არც ფსიქოლოგი და არც მეტყველების თერაპევტი.

[8] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4007539?publication=0

3. განათლების სექტორის მიმოხილვა

საქართველოს განათლების სისტემა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ადრეული და სკოლამდელი განათლება, ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება და უმაღლესი განათლება. დაახლოებით, ერთი მილიონი ბავშვი, მოსწავლე და სტუდენტი არის დარეგისტრირებული განათლების სექტორში.

ადრეული და სკოლამდელი განათლება, ისევე როგორც სკოლის მოსამზადებელი პროგრამა, ნებაყოფლობითია. ამ საფეხურზე ბავშვების ასაკი 0-დან 5 წლამდეა. პროგრამის დასრულების შემდეგ ოფიციალური დოკუმენტი არ გაიცემა. ამჟამად 154,000 ბავშვია დარეგისტრირებული სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში.

საქართველოში ზოგადი განათლება კანონმდებლობით არის რეგულირებული და მოიცავს სამ საფეხურს (დაწყებითი, საბაზო, საშუალო). სწავლის ხანგრძლივობა 12 წელს შეადგენს.

- დაწყებითი განათლება მოიცავს 6 წლიან სწავლებას, რომელიც I-VI კლასებში ხორციელდება (ბავშვების საშუალო ასაკი: 6-12);
- საბაზო განათლება მოიცავს 3 წელს (VII-IX კლასებს, ბავშვების საშუალო ასაკი: 13-15);
- საშუალო განათლება მოიცავს 3 წელს (X-XII კლასებს, ბავშვების საშუალო ასაკი: 16-18).

დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა საქართველოში. სრული ზოგადი განათლების დასრულებისას გაიცემა სერტიფიკატი (ატესტატი), რომელიც იძლევა საშუალებას სწავლა გაგრძელდეს უმაღლეს სასწავლებელში ან პროფესიულ სასწავლებელში.

საქართველოში უმაღლესი და პროფესიული განათლება კანონმდებლობით არის რეგულირებული: "უმაღლეს განათლებაზე", "პროფესიულ განათლებაზე", "განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე", და სხვა კანონქვემდებარე აქტებით. საქართველოს აქვს უმაღლესი განათლების სამ საფეხურიანი სისტემა და შედგება ბაკალავრიატის (მოიცავს 4 წელს), მაგისტრატურის (მოიცავს 2 წელს), და დოქტორანტურის საფეხურებისგან (მოიცავს 3 წელს).

საქართველოში საგანმანათლებლო მომსახურებას საჯარო (სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული და მართული ორგანიზაციები), კერძო კომერციული, და კერძო არაკომერციული ინსტიტუტები აწვდიან. უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო სექტორი განთავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან (დღგ).

ცხრილი 1: საქართველოს განათლების სექტორის სტრუქტურა 2021 წელს

წყარო: საქსტატი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ბოლო წლებში განათლების სისტემის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა რეფორმა განხორციელდა. მათ შორის: ინსტიტუციური სტრუქტურის შეცვლა, კორუფციის აღმოფხვრა, უნივერსიტეტებისთვის ავტონომიის მინიჭება და ევროპული სტანდარტების შემოღება. თუმცა, საქართველოს განათლების სისტემა კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშეა.

ჯამური დანახარჯი განათლებაზე საშუალო წლიურად 7.9%-ით იზრდებოდა ათი წლის განმავლობაში (6.9% ინფლაციით დაკორექტირებული) და დაახლოებით 2.2 მლრდ. ლარს მიაღწია 2021 წელს. თუმცა, იმავე პერიოდში დანახარჯების წილი მშპ-ში შემცირდა და 3.6% შეადგინა, რაც ბოლო ათი წლის მინიმალური მაჩვენებელია.

გრაფიკი 1: დანახარჯი განათლებაზე (მლრდ. ლარი) და წილი ნომინალური მშპ-ში %



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

*შენიშვნა: *დაკორექტირებული მონაცემები გამოქვეყნდება 2022 წლის 15 ნოემბერს.*

2021 წელს, განათლებაზე, მეცნიერებასა და პროფესიულ მომზადებაზე 18%-ით მეტი დანახარჯი იყო დაგეგმილი, ვიდრე წინა წელს (2.2 მლრდ. ლარი) და 2022 წლისთვის იგეგმება ხარჯების 4%-ით გაზრდა.

გრაფიკი 2: გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტიდან (მლრდ. ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

2021 წლის მონაცემებით, განათლების ხარჯებში ყველაზე დიდი წილი სკოლამდელ და ზოგად განათლებას ჰქონდა და მთლიანი სამთავრობო დაფინანსების 70%-ს შეადგენდა. აღნიშნული შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ სკოლამდელი და ზოგადი განათლება ძირითადად სახელმწიფოს მიერ ფინანსდება, როდესაც უმაღლესი განათლების ხარჯების დიდი წილი სტუდენტებზე მოდის (კონკრეტული სტუდენტების ჯგუფის გარდა, რომლებიც მთავრობის მიერ გადახდილი გრანტებით/სტიპენდიებით სარგებლობენ).

გრაფიკი 3: სახელმწიფოს მიერ 2021 წელს განათლებაზე გაწეული ხარჯების სტრუქტურა (მლრდ. ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

კვლავ მცირეა ინკლუზიური განათლების ხარჯები, რაც გულისხმობს სსსმ პირების ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში. ჯამური დანახარჯი ინკლუზიურ განათლებაზე საშუალო წლიურად 33%-ით იზრდებოდა რვა წლის განმავლობაში და 27 მლნ. ლარს მიაღწია 2021 წელს, ხოლო 2022 წელს 35 მლნ. ლარამდეა დაგეგმილი (მთლიანი ხარჯის 1.5%).

გრაფიკი 4: ინკლუზიურ განათლებაზე გაწეული ხარჯები წლების მიხედვით (მლნ. ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

*შენიშვნა: *დაგეგმილი ხარჯები*

3.1 ზოგადი განათლების სექტორი

მოსწავლეთა რაოდენობამ 624,000-ს გადააჭარბა 2021/2022 სასწავლო წელს, +12%-იანი ზრდა 2012/2013 სასწავლო წელთან შედარებით. საჯარო სკოლებში მოსწავლეთა 90% სწავლობს. წილი მცირდებოდა ეკონომიკურ ზრდასთან ერთად და კერძო სკოლები უფრო მიმზიდველი ხდებოდა 2020/2021 სასწავლო წლამდე. თუმცა, პანდემიამ და შესაბამისმა ეკონომიკურმა პრობლემებმა აღნიშნული ტენდენცია შეცვალა. კერძო სკოლების მიმზიდველობის ზრდა შეიძლება აიხსნას მაღალი ხარისხის განათლებით, უფრო უკეთესი ტექნიკური მხარდაჭერით და უსაფრთხოების უფრო მაღალი დონით.

გრაფიკი 5: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და მოსწავლეთა რაოდენობა (ათასი)



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მოსწავლეების ზრდასთან ერთად სკოლების რაოდენობა მცირდება. 2021/2022 სასწავლო წელს საქართველოში სულ 2,308 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ფუნქციონირებდა, რაც 2012/2013 წლის მაჩვენებელთან შედარებით - 0.5%-იანი კლებაა. ამ სკოლების 87%-ში სწავლა მიმ-დინარეობს ქართულ, 5%-ში სომხურ, 3%-ში აზერბაიჯანულ ენაზე და 4%-ში კი რამდენიმე ენაზე ერთად.

გრაფიკი 6: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების განაწილება სწავლების ენის მიხედვით 2021-2022წ



წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მოსწავლეების რაოდენობა ყოველწლიურად ზრდადია, თუმცა მასწავლებელთა რაოდენობა მცირდება. შედეგად, იზრდება ერთ მასწავლებელზე მოსწავლეთა რაოდენობა. 2021/2022 სასწავლო წელს საჯარო სკოლის მასწავლებელზე 10 მოსწავლე, ხოლო კერძო სკოლის მასწავლებელზე 8 მოსწავლე მოდის.

გრაფიკი 7: მასწავლებლების რაოდენობა (ათასი) და მოსწავლეების რაოდენობა ერთ მასწავლებელზე



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მასწავლებლის დატვირთულობა იზრდება. მასწავლებლების საშუალო ხელფასი -38%-ით უფრო დაბალია, ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასთან შედარებით. მასწავლებლების რაოდენობამ 63,000 შეადგინა 2021/2022 სასწავლო წელს, -9%-ით ნაკლები, 2013/2014 სასწავლო წელთან შედარებით. თუმცა, იმავე პერიოდში მოსწავლეთა რაოდენობა ერთ მასწავლებელზე 29%-ითა და 18%-ით გაიზარდა კერძო და საჯარო სკოლებში, შესაბამისად. აღნიშნული იწვევს მასწავლებელთა დატვირთვის ზრდას, რაც კიდევ უფრო ნაკლებად მიმზიდველს ხდის ამ პროფესიას.

გრაფიკი 8: საგანმანათლებლო სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური შემოსავალი



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საჯარო სკოლებში მასწავლებელთა საშუალო ასაკი 50 წელია, ხოლო კერძო სკოლებში - 45 წელი. აღნიშნული მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ ახალგაზრდა მასწავლებლებისთვის პრიორიტეტულია კერძო სკოლაში მუშაობა.

გრაფიკი 9: მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც შეწყვიტეს სწავლა 2020/2021 სასწავლო წელს



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

2020/2021 სასწავლო წელს, მოსწავლეთა 1%-მა მიატოვა სკოლა. ბიჭების წილი აღნიშნულ მოსწავლეებში 57%-ი იყო. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებითი და საბაზო განათლება საქართველოში სავალდებულოა, იმ მოსწავლეების 40% ვინც 2020/2021 წელს სწავლა მიატოვა, მეათე კლასის ქვემოთ იყო.

გრაფიკი 10: საჯარო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც 2020-2021 სასწავლო წლის შედეგების მიხედვით ვერ დაძლიეს კლასი



წყარო: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

2020/2021 სასწავლო წელს 534-მა მოსწავლემ (მოსწავლეთა 0.1%) ვერ დაძლია კლასი. აქედან 33% თბილისის სკოლის მოსწავლეებზე მოდის, 21% კი ქვემო ქართლზე, სადაც მოსახლეობის დიდ წილს ეროვნული უმცირესობები შეადგენენ. თუ აღნიშნულ რეგიონზე ვკონცენტრირდებით ვნახავთ, რომ აქ მოსწავლეთა 63% ქართულენოვან, 29% აზერბაიჯანულენოვან, 5% რუსულენოვან, 3% კი სომხურენოვან სკოლაში დადის.

გრაფიკი 11: ქვემო ქართლში მოსწავლეთა პროცენტული განაწილება სწავლების ენის მიხედვით 2021-2022წ



წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

3.2 პროფესიული განათლების სექტორი

პროფესიული სასწავლებლების პოპულარობა საგრძნობლად შემცირდა ბოლო რვა წლის განმავლობაში. 2021 წელს, სტუდენტების რაოდენობა განახევრებულია, 2013 წელთან შედარებით და 11,204 შეადგინა.

გრაფიკი 12: პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა, კერძო სასწავლებლების წილი (%) და ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ყველაზე მეტი პროფესიული სასწავლებელი თბილისშია განთავსებული (45%). აჭარაში პროფესიული სასწავლებლების 14% მდებარეობს. ისეთ რეგიონებში, რომლებიც ხასიათდება ეროვნული უმცირესობების ლოკალური დასახლებით, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი, სასწავლებლების 6% და 3% მდებარეობს, შესაბამისად.

გრაფიკი 13: 2021 წელს საჯარო და კერძო პროფესიული სასწავლებლების განაწილება რეგიონების მიხედვით



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ჩარიცხული სტუდენტების კლებასთან ერთად კურსდამთავრებულთა კლებაც აღინიშნება. 2021 წელს, 6,800 სტუდენტმა დაამთავრა პროფესიული სასწავლებელი, რაც 2013 წლის მაჩვენებელს 37%-ით ჩამორჩება, თუმცა წინა წლის მაჩვენებელს 98%-ით აღემატება. ბოლო რვა წლის განმავლობაში, კურსდამთავრებულ სტუდენტთა რაოდენობა საშუალო წლიურად 6%-ით მცირდება.

გრაფიკი 14: პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხული და კურსდამთავრებული სტუდენტთა რაოდენობა (ათასი)



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

2021 წელს, ჩარიცხული სტუდენტების 39% თბილისში სწავლობს და კურსდამთავრებულების თანაფარდობა ჩარიცხულ სტუდენტებთან 60%-ს აჭარბებს. სხვა რეგიონებში აჭარა ლიდერობს ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობით (15%), და 88%-იანი კურსდამთავრებულების წილით.

გრაფიკი 15: პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხული და კურსდამთავრებული სტუდენტების რაოდენობა და მათი თანაფარდობა 2021 წელს, რეგიონების მიხედვით



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

პროფესიულ სასწავლებლებში მასწავლებლების რაოდენობა 2019 წლამდე იზრდებოდა, თუმცა პანდემიის დროს 10%-ით შემცირდა და 4,956-ს მიაღწია 2021 წლისათვის. ერთ მასწავლებელზე სტუდენტების რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება, რაც აიხსნება პროფესიული სასწავ-ლებლების პოპულარობის შემცირებით.

გრაფიკი 16: პროფესიულ სასწავლებლებში მასწავლებლების რაოდენობა, მათი განაწილება სქესის მიხედვით და ერთ მასწავლებელზე სტუდენტების რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

2021 წელს, მასწავლებელთა 51% თბილისის პროფესიულ სასწავლებლებში ასწავლიდნენ. შესაბამისად, თბილისში ერთ მასწავლებლებზე სტუდენტის რაოდენობა 1.7-ია, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე (2.2) დაბალია. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ერთ მასწავლებელზე სტუდენტების რაოდენობით სამცხე-ჯავახეთში ფიქსირდება (4 სტუდენტი მოდის ერთ მასწავლებელზე), რაც განპირობებულია მასწავლებელთა სიმცირით.

გრაფიკი 17: პროფესიულ სასწავლებლებში მასწავლებლების რაოდენობა სქესისა და რეგიონების მიხედვით და ერთ მასწავლებელზე სტუდენტების რაოდენობა 2021 წელს



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საერთო ჯამში, პროფესიული პროგრამები შრომითი ბაზრის მოთხოვნებს სრულად ვერ პასუხობს. შესაბამისად, პროფესიულ განათლების სისტემას ფუნდამენტური ცვლილებები სჭირდება. კერძო სექტორის უფრო მაღალი ჩართულობა და უკეთესი ხარისხის სასწავლო პროგრამებს შეუძლია პროფესიული სასწავლებლების პოპულარობა გაზარდოს და გააუმჯობესოს დღევანდელი მდგომარეობა.

3.3 უმაღლესი განათლების სექტორი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე მოთხოვნა გაიზარდა. სტუდენტების რაოდენობა ერთ უნივერსიტეტზე საშუალოდ 2,500 გახდა 2021/2022 სასწავლო წელს, +30%-ით მეტი 2012/2013 წელთან შედარებით. 2021 წელს ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხვი დაახლოებით 160,000-ია, რაც 46%-ით აღემატება 2012/2013 წლის მაჩვენებელს. სტუდენტების 64% ჩაირიცხა საჯარო სასწავლებლებში და დანარჩენი 36% კი კერძო სასწავლებლებში.

კერძო უმაღლესი სასწავლებლების პოპულარობა იზრდება. სტუდენტების რაოდენობა კერძო უნივერსიტეტებში 58,105-მდე გაიზარდა 2021 წელს, აღნიშნული +97%-ით მეტია 2012 წელთან შედარებით. იმავე პერიოდში, საჯარო სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის ზრდა მხოლოდ +27% იყო. საჯარო სასწავლებლებს უფრო მეტი სტუდენტის მიღება შეუძლიათ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზიდან გამომდინარე. 2021/2022 სასწავლო წელს 5,350 სტუდენტი მოდის ერთ საჯარო უნივერსიტეტზე, აღნიშნული 4-ჯერ მეტია კერძო სასწავლებლებთან შედარებით.

გრაფიკი 18: ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა საჯარო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში (ათასი), 2013-2022



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

უნივერსიტეტების რაოდენობა 2012 წლიდან იზრდებოდა და 2017/2018 სასწავლო წელს 75-ს მიაღწია, მაგრამ მას შემდეგ შემცირდა და 2021/2022 სასწავლო წლისთვის 64-ია. აქედან 70% კერძო უმაღლეს სასწავლებლებზე მოდის. ბოლო ათი წლის განმავლობაში კერძო სასწავ-ლებლების რაოდენობა საშუალო წლიურად 2%-ით იზრდება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბიზნესს სექტორისთვის კერძო სასწავლებლების გახსნა მიმზიდველი ხდება.

გრაფიკი 19: უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა, კერძო საჯარო უნივერსიტეტების %-უღი წილი



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

კურსდამთავრებულთა წილი კერძო უნივერსიტეტებში უფრო მცირეა, სახელმწიფო სასწავლებ-ლებთან შედარებით. საშუალო კურსდამთავრებულთა წილი ერთ მიღებულ სტუდენტზე[9] საჯარო უმაღლეს სასწავლებელში 69% იყო 2012-2021 წლებში, +16%-ით მეტი, კერძო უნივერსიტეტებთან შედარებით, იმავე პერიოდში.

უმაღლესი სასწავლებლები გადატვირთულია და კურსდამთავრებულების მცირე რაოდენობის მიზეზი შეიძლება სავალდებულო სამხედრო სამსახური იყოს. სტუდენტები განთავისუფლებულნი არიან სამხედრო სამსახურისგან სწავლის პერიოდში, რაც შესაძლოა ზრდის გამოცდებში ჩაჭრილი სტუდენტების რაოდენობას, იმ მიზნით რომ გახანგრძლივდეს სასწავლო პერიოდი. ასევე, სტიმულს აძლევს ახალგაზრდებს (27 წლამდე) ჩააბარონ დოქტორანტურაზე ადრეულ ასაკში.

[9] საშუალო კურსდამთავრებულთა წილი ერთ სტუდენტზე დათვლილია მიღებული სტუდენტების რაოდენობისა და ოთხ წლიანი სასწავლო პერიოდის გათვალისწინებით.

გრაფიკი 20: ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა საჯარო უმაღლეს სასწავლებელში (ათასი) და კურსდამთავრებულების წილი



გრაფიკი 21: ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა კერძო უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებზე (ათასი) და კურსდამთავრებულების წილი



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საქართველოში პანდემიის დაწყებამდე უმუშევრობის წილი საბაზისო, საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალაში მნიშვნელოვნად მცირდებოდა. თუმცა, COVID-19-მა უმუშევრობის მკვეთრი ზრდა გამოიწვია. უმუშევრობის მაჩვენებელმა საბაზო და საშუალო განათლების მქონე პირებში ბოლო თორმეტი წლის მაქსიმუმს მიაღწია 2021 წელს და 34% და 26% შეადგინა, შესაბამისად.

გრაფიკი 22: უმუშევრობის დონე საქართველოში, სხვადასხვა ჯგუფებში განათლების დონით



წყარო: მსოფლიო ბანკი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

2021 წლისთვის საქართველოში უმუშევრობის დონე უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალაში 15.5% შეადგინა, რაც 9.4 პ.პ.-ით ნაკლებია 2011 წელთან შედარებით. ამ ტენდენციის მიუხედავად, საქართველოში უმუშევრობის დონე უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალაში ბევრად მაღალია ვიდრე სხვა ქვეყნებში, OECD წევრებისა (6.1%) და ევროკავშირის ქვეყნების (5.5%) ჩათვლით, რაც ჩვენი უმაღლესი განათლების დაბალ ხარისხზე მიუთითებს.

გრაფიკი 23: უმუშევრობის დონე უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალაში, საქართველოში და სხვა ქვეყნებში 2021



წყარო: მსოფლიო ბანკი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საერთო ჯამში, მოთხოვნა უმაღლეს სასწავლებლებზე მაღალია მაგრამ უნივერსიტეტის დიპლომი ხშირ შემთხვევაში არ ნიშნავს მაღალი ხარისხის განათლების მიღებას და მაღალ-ანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმებას. ხშირად კურსდამთავრებულები არ მუშაობენ სწავლის პერიოდში შერჩეული პროფესიით. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ვერ უზრუნველყოფს განათლების ისეთ ხარისხს, რომ კურსდამთავრებულებმა უპასუხონ თანამედროვე შრომითი ბაზრის მოთხოვნებს, რაც შესაბამისად აისახება უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელზე. ასევე, დასაქმებულების დაბალ კვალიფიკაციაზე და შესაბამისად, ანაზღაურებაზე.

4. განათლება ეთნიკური უმცირესობებისთვის

ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა და სახელმწიფო ენის ცოდნა არის ის მნიშვნელოვანი პირობა, რაც ხელს უწყობს ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 13.2% ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი ეთნიკურად აზერბაიჯანელი (6.3%), სომეხი (4.5%) და რუსი (0.7%) ეროვნების წარმომადგენელია.

გრაფიკი 24: საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური ანალიზი



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საქართველოში ზოგადი განათლების მიღება ქართულენოვანი სკოლების გარდა შესაძლებელია სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან და რუსულენოვან სკოლებსა და სექტორებში. 2021-2022 წელს, არაქართულენოვანი სკოლები საქართველოს საჯარო სკოლების 10%-ს შეადგენს (207 მთელი საქართველოს მასშტაბით). საქართველოში ფუნქციონირებს 117 სომხურენოვანი, 79 აზერბაიჯანულენოვანი, და 11 რუსულენოვანი სკოლა, რაც არაქართულენოვანი სკოლების 57%-ს, 38%-ს და 5%-ს შეადგენს, შესაბამისად.

ამავე წელს, არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეების რაოდენობა 54,325 იყო, რაც მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 9%-ს შეადგეს. მათი უმრავლესობა (47.7%) აზერბაიჯანულენოვანია, 26.5% რუსულენოვანი, ხოლო 24.5% კი სომხურენოვანია.

გრაფიკი 25: არაქართულენოვანი სკოლების და მოსწავლეების განაწილება სწავლის ენის მიხედვით 2021



წყარო: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, 2010 წლიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აქვთ საშუალება უმაღლესი განათლება მიიღონ საქართველოში გამარტივებული წესით. გამარტივებული სისტემა, ე. წ. „1+4“ პროგრამა ითვალისწინებს ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარებას სომხურ აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ ენებზე და სათანადო ქულების დაგროვების შემთხვევაში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას. აბიტურიენტები 1 წლის განმავლობაში შეისწავლიან ქართულ ენას და 60 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში აგრძელებენ სწავლას მათთვის სასურველ ფაკულტეტზე.

შედეგად, 2010 წლიდან 2018 წლამდე 5-ჯერ გაიზარდა ეთნიკურ უმცირესობათა სტუდენტების რაოდენობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტების რაოდენობა საშუალო წლიურად 22%-ით იზრდებოდა ცხრა წლის განმავლობაში. ასევე „1+4“ პროგრამა აძლევს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს სტაჟირების გავლის შესაძლებლობას სხვადასხვა საჯარო სამსახურებში, თუმცა არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები შემდგომ თუ ხორციელდება ამ პირების დასაქმება. ასე, რომ აუცილებელია დასაქმების მაჩვენებლის წარმოება, რათა სწორად შეფასდეს პროგრამის წარმატება/წარუმატებლობა.

გრაფიკი 26: უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტების რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: შეჩიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

თუ შევხედავთ ერთიანი ეროვნული გამოცდების მონაცემებს, ვნახავთ, რომ დარეგისტრირებული 38,415 აბიტურიენტიდან 2,665 დარეგისტრირდა არაქართულენოვან უნარების გამოცდაზე 2021 წელს, რაც აბიტურიენტების 7%-ს შეადგენს +3 პ.პ.-ით მეტი ვიდრე 2010 წელს.

2010 წელს, 253 აბიტურიენტი დარეგისტრირდა სომხურენოვან ზოგად უნარების გამოცდაზე, რაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ აბიტურიენტთა 18%-ს შეადგენდა. ეს მაჩვენებელი 2021 წლისთვის 21%-მდე გაიზარდა (565 აბიტურიენტი). რაც შეეხება აზერბაიჯანულენოვან უნარების გამოცდას, 2010 წელს დარეგისტრირდა 335 აბიტურიენტი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ აბიტურიენტთა მხოლოდ 24%, რაც 2021 წელს 78%-მდე გაიზარდა (2,076 აბიტურიენტი). რუსულენოვანი ზოგადი უნარების ჩაბარების მსურველთა რაოდენობა კი იმავე პერიოდში 58%-იდან 1%-მდე შემცირდა (610-იდან 17 აბიტურიენტამდე).

გრაფიკი 27: არაქართულენოვან უნარებზე დარეგისტრირებული აბიტურიენტები და მათი წილი აბიტურიენტებში წლების მიხედვით



წყარო: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობისა და მათზე დარეგისტრირების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის წარმომდგენლები და ცალკეული კოლეჯები ახორციელებენ საინფორმაციო შეხვედრებს. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, მოხდა არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია და ტექნიკური აღჭურვა. შედეგად სხვადასხვა რეგიონში დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ პროფესიული განათლება.

ამასთან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს 2016 წლიდან აქვთ შესაძლებლობა სომხურ, რუსულ ან აზერბაიჯანულ ენაზე ჩააბარონ პროფესიული ტესტირება და სახელმწიფო დაფინანსებით ჩაირიცხონ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ამასთანავე გაიარონ ქართული ენის შემსწავლელი კურსი.

აღნიშნული ღონისძიებების გატარების შემდეგ, ყოველწლიურად იზრდება იმ აპლიკანტთა რაოდენობა, რომლებიც არაქართულენოვან ტესტს აბარებენ. 2021 წელს, არაქართულენოვანი ტესტირების საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა 250 აპლიკანტი, აღნიშნული 17-ჯერ აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს.

გრაფიკი 28: არაქართულენოვანი ტესტირების საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულთა რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის შესასწავლად სხვადასხვა კურსი ფუნქციონირებს. მაგალითად, სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა“ 13 სასწავლო ცენტრისა და 171 მობილური ჯგუფის საშუალებით ახორციელებს სახელმწიფო ენის სწავლების მრავალფეროვან პროგრამებს. COVID-19-ის პანდემიის პირობებში წარმოქმნილი გამოწვევების საპასუხოდ, ამ ჯგუფებმა საქმიანობა დისტანციური სწავლების რეჟიმში განაგრძეს. 2015-2020 წლებში ქართული ენის კურსი წარმატებით დაასრულა 16,000-მდე მსმენელმა.

პანდემიამ ეთნიკური უმცირესობების პრობლემები კიდევ უფრო გაამწვავა. პანდემიამდე სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელების რაოდენობა ნელი ტემპებით იზრდებოდა. თუმცა, COVID-19 პანდემიამ მსურველთა მკვეთრი შემცირება გამოიწვია 2,059-მდე (-42%, წ.წ.).

გრაფიკი 29: სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელების რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: შეხიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ქართული ენის შესწავლის ყველაზე მაღალი ინტერესით გამოირჩევა ახალქალაქის, მარნეულისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები, ხოლო ყველაზე დაბლით ახმეტისა და წალკის მუნიციპალიტეტები.

აქაც უნდა აღინიშნოს COVID-19 პანდემიის უარყოფითი ზეგავლენა. 2020 წელს, სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელების რაოდენობა 2019 წელთან შედარებით მკვეთრად შემცირებულია ყველა მუნიციპალიტეტში ახალციხისა და გარდაბნის გარდა.

გრაფიკი 30: სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით



წყარო: შეიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი ქართული ენის შემსწავლელი პროგრამებისა, გამოწვევად რჩება საზოგადოებასთან ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის დაბალი ხარისხი. ამასთან, ენობრივი ბარიერის შედეგად კვლავ გამოწვევად რჩება ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა. აღნიშნულს სახელმძღვანელოების თარგმნის დაბალი ხარისხიც იწვევს.

ეთნიკური უმცირესობებისთვის კიდევ ერთი გამოწვევაა მასწავლებლების არასაკმარისი რაოდენობა. საქართველოს მასშტაბით, 2018-2022 წლებში 309 მასწავლებელზე გამოცხადებული ვაკანსია დარჩა შეუვსებელი. ეს გამოწვევა განსაკუთრებით გამძაფრდა COVID-19 პანდემიის დაწყებისას, როდესაც 160 გამოცხადებული ვაკანსიის დაკმაყოფილება ვერ მოხდა.

გრაფიკი 31: შეუვსებელი ვაკანსიების რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ეთნიკური უმცირესობებისთვის კიდევ ერთი გამოწვევაა მასწავლებლების კვალიფიკაციის საკითხი. საქართველოს მასშტაბით ინფორმაციულ ტექნოლოგიებში გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, თუმცა 2021 წლისთვის მასწავლებელთა მხოლოდ 27% იყო გადამზადებული, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და ამ პრობლემის სიმწვავეზე მიუთითებს.

გრაფიკი 32: ინფორმაციულ ტექნოლოგიებში გადამზადებული მასწავლებლების საშუალო რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

COVID-19 პანდემიამ კიდევ უფრო გაამწვავა ის პრობლემები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების წინაშე იდგა. მათი ინტერესი ქართული ენის შესწავლის მიმართ შემცირდა ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების გამო, რაც მათი საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესს კიდევ უფრო აფერხებს. პანდემიამ მასწავლებელთა არასაკმარისი რაოდენობაც უფრო შესამჩნევი გახადა.

5.განათლება სსსმ პირებისთვის

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში – სსსმ) მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს ფიზიკური შეზღუდვა, ინტელექტუალური განვითარების დარღვევა, სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის), მეტყველების განვითარების დარღვევა, ქცევითი და ემოციური დარღვევა, გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება ან სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.[10] სსსმ მოსწავლეებს თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და მათთვის აუცილებელია ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაცია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2015-2020 წ.წ. სამოქმედო გეგმის თანახმად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის და სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ხარისხიანი განათლება ყველა დონეზე.

UNICEF-ის და საქსტატის კვლევის თანახმად, სსსმ ბავშვების უმეტესობას (36,400 ბავშვს) აღენიშნება შფოთვა და დეპრესია. სასწავლო სირთულეები კი 8,400 ბავშვს აღენიშნება, რაც 5-დან 17 წლამდე ბავშვების 1.5%-ს შეადგენს.

გრაფიკი 33: სხვადასხვა სფეროებში ფუნქციონირების სირთულეების მქონე 5-17 წლის ბავშვები (ათასი), 2020 წელი



წყარო: UNICEF, საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

[10] http://inclusion.ge/geo/static/19

ყოველწლიურად იზრდება საჯარო სკოლებში სსსმ მოსწავლეების რაოდენობა. 2021 წელს, სსსმ მოსწავლეების რაოდენობამ 10,500-ს გადააჭარბა, რაც 21-ჯერ აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. ეს კი იწვევს სპეციალურ მასწავლებლებზე მოთხოვნის გაზრდას, რათა მოხდეს ყველა მოსწავლისთვის თანაბარი ხარისხის განათლების მიწოდების უზრუნველყოფა.

გრაფიკი 34: საჯარო სკოლებში სსსმ მოსწავლეების რაოდენობა და მათი წილი მოსწავლეებში წლების მიხედვით



წყარო: ინკლუზიური განათლება, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

პროფესიული განათლებით დაინტერესებული არიან არა მარტო ეთნიკური უმცირესობები, არამედ სსსმ პირები. 2021 წელს, 201 სსსმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აქედან 47% თბილისში მდებარე სასწავლო დაწესებულებებზე მოდის, 14% კახეთზე და 10% იმერეთზე, ხოლო დანარჩენი კი სხვა რეგიონებზე ნაწილდება.

გრაფიკი 35: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული სსსმ პირების რიცხოვნობა სქესის და რეგიონების მიხედვით, 2021წ



წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

პროფესიულ სასწავლებლებში სსსმ პირების რაოდენობა იზრდებოდა 2016 წლამდე, შემდეგ კი ეს ტენდენცია შეიცვალა. 2020 წელს, სსსმ სტუდენტების რაოდენობა პროფესიულ საგანმანათ-ლებლო პროგრამებზე მინიმალურ მაჩვენებელზე ჩამოვიდა (164 სსსმ სტუდენტი), რაც COVID-19 პანდემიის უარყოფით გავლენაზე მიუთითებს. იმავე წელს, სსსმ სტუდენტების წილმა მიღებულ სტუდენტებში 1.7% შეადგინა, რაც 0.5 პ.პ.-ით ნაკლებია 2019 წელთან შედარებით. 2021 წელს, პროფესიულმა სასწავლებელში 201 სსსმ სტუდენტი მიიღეს, ხოლო 104-მა შეიჩერა სტატუსი, რაც მიღებული სტუდენტების 52%-ს შეადგენს.

გრაფიკი 36: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებული სსსმ პირების რაოდენობა, მათი წილი მიღებულ სტუდენტებში და მათთვის სტატუსის შეჩერება წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

სსსმ პირების წილი იმ სტუდენტებს შორის, რომელთაც შეიჩერეს ან შეუჩერდათ სტატუსი, ყოველწლიურად იზრდება. 2021 წელს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებული სტუდენტების 37%-მა შეიჩერა სტატუსი, რაც 23 პ.პ.-ით აღემატება 2013 წლის მაჩვენებელს. სსსმ სტუდენტების წილი სტატუს შეჩერებულ სტუდენტებში აღმავალი ტენდენციით ხასიათდება და 2021 წლისთვის 2.5 % შეადგინა, რაც ბოლო ცხრა წლის მაქსიმალური მაჩვენებელია.

გრაფიკი 37: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებული იმ სტუდენტების რაოდენობა, რომელთაც შეუჩერდათ სტატუსი და მათში სსსმ მოსწავლეების წილი წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

6. COVID-19 და პოსტპანდემიური პერიოდი

საქართველოს განათლების სექტორი COVID-19 პანდემიის შედეგად ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. პანდემიამ განათლების სექტორი მკვეთრად შეცვალა, მსოფლიოს მასშტაბით დაიხურა სკოლები და უნივერსიტეტები. შედეგად, ციფრულ პლატფორმებზე ელექტრონული სწავლება იყო ერთადერთ უსაფრთხო შესაძლებლობა სწავლის პროცესის გასაგრძელებლად.

დისტანციური სწავლებისთვის საჭირო პირობების გათვალისწინებით, განვითარებადი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო მოსწავლეებისა და სტუდენტების დისტანციური სწავლების პროცესში ჩართვა. მაშინ, როდესაც ქვეყანაში დანაზოგების ნაკლებობა და მაღალი უმუშევრობაა. გამოწვევები მოიცავს: საჭირო ტექნიკის არ ქონას (კომპიუტერი, პლანშეტი, მობილური ტელეფონი, ა.შ.), ისევე როგორც ინტერნეტთან წვდომას (განსაკუთრებით რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის).

6.1 ტექნოლოგიასა და ინტერნეტთან წვდომა

მსოფლიოში ეკონომიკის გაციფრულების პროცესი დაწყებულია. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები სულ უფრო ფართოდ იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს მმართველობის ეფექტურობის გასაზრდელად. განათლების სექტორი ამ მხრივ არ წარმოადგენს გამონაკლისს, განსაკუთრებით COVID-19 პანდემიის პირობებში. ტექნოლოგიასთან წვდომა აუცილებელი იყო დისტანციური სწავლების პროცესში. პანდემიამ წარმოაჩინა საქართველოში არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევები ამ მიმართულებით, რომლებიც დღემდე არ მოგვარებულა. ესენია:

- მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ტექნიკა;
- დედაქალაქის გარეთ სირთულეებია ხარისხიან ინტერნეტთან წვდომის კუთხით;
- ეკონომიკური გამოწვევები და გაკვეთილებზე დასწრების შესაძლებლობის არ ქონა.

მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს ონლაინ სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებები

სკოლების კომპიუტერებით აღჭურვა და შესაბამისი ტრენინგის ჩატარება კვლავ გამოწვევად რჩება. უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით, 2009/2010 სასწავლო წელს სკოლების 94% აღჭურვილი იყო კომპიუტერებით და ყოველ 20 ბავშვზე ერთი კომპიუტერი იყო სკოლაში. თუმცა, ძველი ტექნიკის რეგულარული განახლებისა და შესაბამისი ტრენინგების ჩატარების შესახებ ბავშვებისა და მასწავლებლებისთვის, ინფორმაცია არ მოიპოვება.

საქართველოს განათლების სისტემაში დისტანციური სწავლება, პანდემიამდე არასდროს გამოუყენებიათ და შესაბამისად ქვეყანა მოუმზადებელი დახვდა ამ ახალ გამოწვევას. პანდემიის დაწყებისას შინამეურნეობების 16%-ს ინტერნეტთან, ხოლო 38%-ს კომპიუტერთან არ ჰქონდა წვდომა. 2021 წელს, მდგომარეობა მცირედით გაუმჯობესდა და ამ მაჩვენებლებმა 14% და 36% შეადგინა, შესაბამისად.

გრაფიკი 38: შინამეურნეობების წილი ვისაც აქვს ინტერნეტი (%)



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

დისტანციური სწავლება უფრო რთულია სოფლებში და რეგიონებში, ქალაქებთან შედარებით. მაღალი უთანასწორობა ძირითადად ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით არის გამოწვეული. 2020 წელს, პანდემიის დაწყებისთვის სოფლად მცხოვრები ოჯახების 58%-ს არ ჰქონდა კომპიუტერი და 26%-ს კი ინტერნეტი, როდესაც ეს რიცხვები ქალაქებში 24% და 9% იყო. პანდემიამ და ონლაინ სწავლებამ აიძულა შინამეურნეობები ფეხი აეწყოთ ცხოვრების ახალი სტილისთვისა და ტექნოლოგიური განვითარებისთვის, რამაც ამ მაჩვენებლების გაუმჯობესება გამოიწვია. 2021 წლისთვის სოფლად მცხოვრები ოჯახების 50%-ს არ აქვს კომპიუტერი და 21%-ს კი ინტერნეტი.

გრაფიკი 39: შინამეურნეობების წილი ვისაც აქვს კომპიუტერი (%)



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

დედაქალაქის გარეთ სირთულეებია ხარისხიან ინტერნეტთან წვდომის კუთხით

თბილისში მცხოვრებ ოჯახებს ძირითადად აქვთ ინტერნეტთან წვდომა (91%), როცა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მხოლოდ 79%-ს ჰქონდა ინტერნეტი 2021 წელს. ასევე, კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენებისთვის საჭირო ცოდნა განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, მათ 30.7%-ს არასდროს უსარგებლია ინტერნეტით, როცა ეს რიცხვი ქალაქის მოსახლეობისთვის 15%-ია.

საქართველოში 35,200 მეტ ბავშვს[11] არასდროს გამოუყენებია ინტერნეტი და არ ჰქონდა წვდომა დისტანციურ სწავლებაზე. ეს ციფრი 2021 წლის ივლისში, 5-დან 14 წლამდე ბავშვებში დაახლოებით 7% იყო.

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ 40: ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲚᲘ (%) ᲕᲘᲡᲐᲒ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲔᲜᲔᲑᲘᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘ



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ინტერნეტის დაბალი ხარისხი, მნიშვნელოვანი გამოწვევაა დისტანციური სწავლების პროცესისთვის. ოპტიკური ინტერნეტის აბონენტების ნახევარზე მეტი თბილისში ცხოვრობს, როცა საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ მესამედია დედაქალაქის მოსახლეობა, რაც ნიშნავს რომ მაღალი ხარისხის ინტერნეტი არათანაბრად არის გადანაწილებული ქვეყანაში.

ეკონომიკური გამოწვევები და გაკვეთილებზე დასწრების შესაძლებლობის არ ქონა

საქართველოში ბავშვები უფრო მეტად დგანან სიღარიბის რისკის ქვეშ, უფროსი თაობის მოსახლეობასთან შედარებით. 2021 წელს, 17 წლის და უფრო დაბალი ასაკის მოსახლეობაში აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვევით მცხოვრები ბავშვების წილი 22.7% იყო. ბავშვები, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახებში იზრდებიან, მეტად დაუცველები არიან კორონავირუსის სწრაფი გავრცელების წინააღმდეგ და უფრო მაღალია მათი სწავლის პროცესის შეწყვეტის ალბათობა.

[11] საქსტატის აღწერის თანახმად, 2021 წლის იანვარში, საქართველოს მასშტაბით 510,500 ბავშვი იყო 5-14 წლის ასაკის.

რეგიონებში სიღარიბე უფრო დიდი პრობლემაა. აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი სოფლად მცხოვრები მოსახლეობის წილი +6 პ.პ.-ით აღემატება ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის იმავე მაჩვენებელს.

გრაფიკი 41: მოსახლეობის წილი აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ (%)



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

*შენიშვნა: *სიღარიბის ზღვრის გაანგარიშების საბაზისო წელი*

6.2 ტელეკომუნიკაციების სექტორი

ინტერნეტ აბონენტების რაოდენობა +8.7%-ით, +5.8%-ით და +1.1%-ით გაიზარდა წ.წ. 2019, 2020 და 2021 წლებში, შესაბამისად, და მილიონ აბონენტს გადააჭარბა. მაგთიკომისა და სილქნეტის წილმა 2021 წლის ინტერნეტ აბონენტების მთლიანი რაოდენობის 48% და 30% შეადგინა, შესაბამისად.

საქართველოში ინტერნეტ მომსახურების ბაზრის შემოსავალმა 294 მლნ. ლარი შეადგინა 2021 წელს. მთლიანი შემოსავლის 81% მაგთიკომმა და სილქნეტმა გაინაწილეს.

გრაფიკი 42: ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობა



გრაფიკი 43: შემოსავალი ინტერნეტ სერვისიდან (მლნ.ლარი)



წყარო: კომუნიკაციების კომისია, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მაღალი ხარისხის ინტერნეტი კვლავ არ არის ხელმისაწვდომი სოფლებში და მთიან რეგიონებში. ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინტერნეტ ტექნოლოგია ოპტიკურ-ბოჭკოვანია, რომლითაც 2021 წლის მომხმარებლების თითქმის 87% სარგებლობდა, +3% და +5%-ით უფრო მეტი ვიდრე 2020 და 2019 წლებში, შესაბამისად. თუმცა, ოპტიკურ ბოჭკოვანი ინტერნეტის მიწოდება ინფრასტრუქტურულ ხარჯებთან არის კავშირში და რეგიონების მოსახლეობა უფრო ნაკლებად ხარისხიან ტექნოლოგიებს იყენებს.

გრაფიკი 44: გამოწერილი წილი ტექნოლოგიის მიხედვით



წყარო: კომუნიკაციების კომისია, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ფიქური ინტერნეტი ფართოზოლოვანი ოპტიკურ ბოჭკოვანი ინტერნეტის ალტერნატივაა, განსაკუთრებით რეგიონებში. ბოლო რამდენიმე წელში აბონენტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. 2021 წელს, ამ მაჩვენებელმა 3.7 მლნ-ს მიაღწია, რაც 15%-ით აღემატება 2020 წლის მონაცემებს. 2020 წლისთვის ბაზრის წილი თითქმის იდენტურად იყო განაწილებული ტელეკომუნიკაციების პროვაიდერ სამ მთავარ კომპანიაზე და თითოეულს მთელი ბაზრის დაახლოებით ერთი მესამედი ჰქონდა ათვისებული. თუმცა 2021 წლისთვის მაგთიკომი და სილქნეტი დომინირებენ ბაზარზე, რომელთაც ბაზრის 72% აქვთ ათვისებული.

გრაფიკი 45: ფიქური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა (მლნ)



გრაფიკი 46: ინტერნეტის მოხმარება (ტბ)



წყარო: კომუნიკაციების კომისია, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

შეზღუდვებმა ქვეყანაში ინტერნეტის მოხმარება საგრძნობლად გაზარდა. 2021 წელს, მოხმარებული ინტერნეტის რაოდენობა 3.6-ჯერ აღემატება 2019 წლის იმავე მაჩვენებელს. COVID-19 პანდემიის გავლენა და შეზღუდვების ეფექტი მნიშვნელოვნად აისახა ფიქური ინტერნეტის მოხმარებაზე. 2021 წლის მანძილზე, ფიქური ინტერნეტის მოხმარება 318,170 ტერაბაიტს ასცდა, რაც 65%-იან მატებას ნიშნავს 2020 წელთან შედარებით (260%-იანს თუ 2019 წლის მაჩვენებელს შევადარებთ). ინტერნეტის მოხმარება 2019 წლიდან 2021 წლამდე გახუთმაგდა მაგთიკომის აბონენტებში, გაოთხმაგდა სილქნეტის და თითქმის გაორმაგდა ვიონი საქართველოს აბონენტებში.

6.3 მოსწავლეების დაბრუნება საკლასო ოთახებში

COVID-19-ის პანდემიის გამო ოჯახების მესამედის შემთხვევაში ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური და შინამეურნეობების 53%-ს შეუმცირდა ყოველთვიური შემოსავალი საქართველოში, მარტის თვიდან 2020 წლის ბოლომდე.[12] იგივე მაჩვენებელი 2021 წლისთვის 35.5 %-ს შეადგენს.

[12] იუნისეფის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად

გრაფიკი 47: შინამეურნეობების წილი, რომლის წევრმაც დაკარგა სამსახური ან შეუმცირდა შემოსავალი 2021 წელს



წყარო: UNICEF, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

შეზღუდვების შემდეგ სკოლების კვლავ გაიხსნა და მოსწავლეების უმეტესობა საკლასო ოთახებში დაბრუნდა. 2021 წელს, სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების 84% საკლასო ოთახებში დაბრუნდა, ხოლო ქალაქებში ამ რიცხვმა 67% შეადგინა. დისტანციური სწავლებისთვის აუცილებელი ტექნიკის არ ქონა და ინტერნეტთან დაბალი ხელმისაწვდომობა აიძულებდა სოფელში მცხოვრებ მოსწავლეებს, რომ უფრო მეტად ყოფილიყვნენ დამოკიდებული ტრადიციულ სწავლების მეთოდებზე.

გრაფიკი 48: მოსწავლეთა წილი, რომლებიც სკოლების გახსნის მერე დაუბრუნდნენ საკლასო ოთახებს



წყარო: UNICEF, საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

როგორც ჩანს შერეული ფორმატით სწავლა ყველაზე ნაკლები პოპულარულობით სარგებლობს, განსაკუთრებით სოფელში. სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების 4% სარგებლობს შერეული სწავლის ფორმატით, ხოლო ქალაქში ამ რიცხვმა 15%-ს მიაღწია. ამასთან საკლასო ოთახებს დაუბრუნდა დაწყებითი კლასის მოსწავლეთა 83%, რაც იმით აიხსნება, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის ყველაზე რთული იყო ონლაინ ფორმატით სწავლა (განსაკუთრებით კი პირველი/მეორე კლასის მოსწავლეთათვის).

საერთო ჯამში, პანდემიამ წარმოაჩინა ყველა ის პრობლემა, რომელიც განათლების სფეროში არსებობდა. ეს განსაკუთრებით ეხება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. მათი ინტერესი ქართული ენის შესწავლის მიმართ შემცირდა ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების გამო, რაც უარყოფითად აისახება მათი საზოგადოებასთან ინტეგრაციის მაჩვენებელზე.

7. ფოკუს-ჯგუფის კვლევა და რეგიონული შეხვედრები

აღნიშნული კვლევის ფარგლებში, სოციოლოგიური ინფორმაცია თვისებრივი მეთოდის, კერძოდ ფოკუს-ჯგუფის გამოყენებით შეგროვდა. ფოკუს ჯგუფების ჩატარება გადაწყდა იმ მიზნით, რომ კვლევის გუნდს იმ გამოწვევებისა და პრობლემების იდენტიფიცირება მოეხდინა, რომელსაც განსხვავებული სოციალური ჯგუფები, ეთნიკური უმცირესობები და ზოგადად, სხვადასხვა ჩართული მხარეები (მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები) აწყდებიან სკოლებში პოსტ COVID-19-ის პერიოდში.

საერთო ჯამში, მასწავლებლებთან და მშობლებთან 6 ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა ორ ქართულენოვან, ორ აზერბაიჯანულ და ორ სომხურენოვან სკოლებში. ფოკუს-ჯგუფებს დაესწრო 44 მშობელი და 22 მასწავლებელი. ჯგუფებზე რესპონდენტებმა ისაუბრეს დისტანციური სწავლების შემდგომ სკოლაში დაბრუნების დადებით მხარეებზე, სკოლების, პედაგოგებისა და მშობლების გამოწვევებზე. ყურადღება გამახვილდა ეთნიკური უმცირესობების პრობლემებზე.

7.1 თვისებრივი კვლევა

თვისებრივი კვლევის ამოცანა არის იმ სიღრმისეული გამოწვევების გამომჟღავნება, რომელიც რაოდენობრივი გამოკითხვის ფარგლებში ვერ ხერხდება. კვლევის ამოცანების მიხედვით, ქვემოთ მოცემულია თვისებრივი მონაცემების ანალიზი, სადაც პირველ ნაწილში გაანალიზებულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მასწავლებლებისა და მშობლების ფოკუს-ჯგუფებზე განხილული თვისებრივი ინფორმაცია, შემდეგ ნაწილში კი ქართულენოვანი სკოლების წარმომადგენელი მასწავლებლებისა და მშობლების მოსაზრებები.

არაქართულენოვანი სკოლების ფოკუს-ჯგუფების მიხედვით გამომჟღავნდა შემდეგი სახის გამოწვევები:

- მასწავლებლების არასაკმარისი რაოდენობა განსაკუთრებით STEM-ის (მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიის და მათემატიკის) საგნებში და დაბალი კვალიფიკაცია. ამ პრობლემის გამო მოსწავლეებს სოფლებიდან უწევთ მუნიციპალიტეტის ცენტის სკოლაში სიარული;
- სახელმძღვანელოების თარგმანის დაბალი ხარისხი და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან აცდენა;
- ენის ბარიერი, რის აღმოსაფხვრელად საჭიროა სახელმწიფომ უზრუნველყოს უფრო მეტი უფასო კურსი ქართულ ენაში;
- მოსწავლეების მხრიდან სკოლის მიტოვების მაღალი მაჩვენებელი;
- საჯარო სამსახურში დასაქმების პრობლემები. ხდება ეთნიკური უმცირესობებს დისკრიმინაცია;

- სკოლებში სსსმ პირებისთვის საჭირო პირობებისა და ინფრასტრუქტურის არარსებობა;
- ფსიქოლოგის არარსებობა სკოლებში, რათა მოიხსნას ის ფსიქოლოგიური წნეხი, რაც პოსტ COVID-19 პერიოდში წარმოიშვა.

ქართულენოვანი სკოლების ფოკუს-ჯგუფების მიხედვით გამომჟღავნდა შემდეგი სახის გამოწვევები:

- საგნობრივი ჩამორჩენა სკოლებში პოსტ COVID-19-ის პირობებში;
- სოციალური ურთიერთობების დეფიციტი და ბავშვების გაუცხოება ონლაინ სწავლების გამო;
- სახელმძღვანელოების პრობლემები და შესაბამისი აღჭურვილობის (ე.წ. ლაბორატორიების) არ არსებობა.

7.1.1 არაქართულენოვანი სკოლები

მასწავლებლების არასაკმარისი რაოდენობა და დაბალი კომპეტენცია

კვლევამ გამოავლინა, რომ აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან სკოლებში STEM საგნების მიმართულებით არსებობს მასწავლებლების არასაკმარისი რაოდენობა. გამოკითხული პედაგოგების მიხედვით, განსაკუთრებულად რთული მდგომარეობა ფიზიკის მასწავლებლების სიმცირის მხრივ შეინიშნება. რესპონდენტების მიხედვით, ამ პრობლემას ორი მიზეზი წარმოქმნის. ერთი, პედაგოგების მხრიდან ქართული ენის არცოდნა - მათ არ შეუძლიათ ქართული სახელმძღვანელოებით საფუძვლიანად ასწავლონ ფიზიკა, ან სხვა STEM-ის საგნები. მეორე მიზეზია, სახელმძღვანელოების ხარისხი, რამაც შეიძლება STEM-ის საგნების სწავლება გაართულოს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა COVID-19-მდეც არსებობდა, მათი თქმით, სახელმწიფოს ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს ამ მიმართულებით. პედაგოგებმა ვერ დაასახელეს რაიმე სახის პროფესიული გადამზადების კურსი, ან ტრენინგი, რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებდა. ამ მხრივ, რესპონდენტების თქმით, ოდნავ უკეთესი მდგომარეობაა ისეთ სკოლებში, რომლებშიც სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, მაგალითად „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“, დასაქმებული ქართველი კონსულტანტები ასწავლიან. მათივე თქმით, აღნიშნული კონსულტანტები მოკლე ტრენინგს უტარებენ ადგილობრივ პედაგოგებს ქართული ენის დონეების მიხედვით, რომელიც ასე თუ ისე დადებითად აისახება მათ ენობრივ კომპეტენციაზე.

> *„ჩვენს ხაიონში სამცხე-ჯავახეთში ძირითადად პრობლემა არის STEM საგნებთან დაკავშირებით ძირითადად გეოგრაფია, ქიმია, ფიზიკა აი მაგ საგნებთან დაკავშირებით არის დეფიციტი და ამ ბოლო დროს გამრავდა მაძიებლების პროგრამა, ანუ ძირითადად მაძიებლები ირთვებიან ამ პროგრამებში და ცდილობენ გამოცდები ჩააბარონ რომ შემდეგ დაკვალიფიცირდნენ ამ საგნებში.“ (მშობელი, ახალციხე)*

მარნეულში მცხოვრები მშობლები ამბობენ, რომ STEM-ის საგნების გარდა შესაძლოა აზერბაიჯანულენოვან სკოლებში არსებობს უცხო ენების, განსაკუთრებით ინგლისური ენის სწავლების პრობლემა. მათი თქმით, ინგლისური ენის მასწავლებლებს დაბალი კვალიფიკაცია აქვთ.

სომხურენოვანი პედაგოგების თქმით, მათ სკოლებში დგას დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების პრობლემა, რადგან გამოცდა არ იყო სომხურ ენაზე და შესაბამისად, ამის გამო მასწავლებლები ვერ გადიოდნენ გამოცდებზე. რესპონდენტის თქმით, წელს პირველად შემოვიდა მსგავსი სახის გამოცდები სომხურ ენაზე და ეს სავარაუდოდ გამოასწორებს ამ პრობლემას.

სახელმძღვანელოების პრობლემები

გამოკითხული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი პედაგოგების თქმით, მასწავლებლების დაბალ ენობრივ კომპეტენციას ემატება სახელმძღვანელოების პრობლემა. ეთნიკურად აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი პედაგოგების თქმით, მათ სკოლებში არსებობს სახელმძღვანელოების დეფიციტი, მაგალითად, არ აქვთ საკმარისი რაოდენობის მეოთხე და მეშვიდე კლასის წიგნები. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მაშინ, როდესაც სახელმწიფო უნდა ურიგებდეს წიგნებს ყველა მოსწავლეს, ხშირად ერთ კლასზე მხოლოდ 8-9 წიგნი მოდის მაშინ, როდესაც კლასში გაცილებით მეტი მოსწავლეა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ხშირად მიუმართავს ამ პრობლემის გადასაჭრელად რესურსცენტრისთვის, ამ უკანასკნელისგან ისინი ყოველთვის გულგრილ დამოკიდებულებას იღებენ და არ ხდება საჭირო რაოდენობის წიგნების მიწოდება, რომელიც შემდეგ ხელს უშლის სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხიანად წარმართვას. მშობელთა თქმით, შეიძლება სკოლაში საკმარისი რაოდენობის სახელმძღვანელოები იყოს, მაგრამ იმდენად მოძველებული, რომ გართულდეს იქიდან სწავლა. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

> *„წიგნები, ხასაც გვაძლევენ ახის ბიბლიოთეკიდან და ანუ ძველი წიგნებია. ძაღიან ბევრი ბავშვების გამოყენებულია და ფუცცლებიც აკლია, ყდაც ახ ახის და ამ მხრივ გვიჭირს.“ (მშობელი, მახნეული)*

დამატებით, ეთნიკურად აზერბაიჯანელი პედაგოგებისა და მშობლების თქმით, სახელმძღვანელოების დეფიციტის გარდა, არსებობს მათი თარგმნის ხარისხის პრობლემაც. მაგალითად, მათემატიკაში სახელმძღვანელოები ისეა ნათარგმნი, რომ მოსწავლეებისთვის სრულიად გაუგებარია ამოცანის პირობები. მშობლების აზრით, გამომცემლობებს კვალიფიციური კადრების პრობლემა აქვთ, რადგან ამდენი წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა მათემატიკის სახელმძღვანელოების ხარისხის გამოსწორება. ერთ-ერთი მშობელი რესპონდენტის მიხედვით, სახელმძღვანელოები ისეთი გაუგებარი ენით არის შექმნილი, რომ მოსწავლესაც და მშობელსაც უჭირთ საშინაო დავალების გაგება და ხშირად პედაგოგთან დარეკვა და დამატებითი კონსულტაცია სჭირდებათ. როგორც აღნიშნული რესპონდენტი ამბობს:

„ახლა ისე არის ხოლმე, რომ ბავშვი თვალებს ასე გააფართოებს და მიყურებს, „ლედა ეს ჰა არის, აი როგორ გავიგო ესა“, ხანდახან მეც ისეთ მდგომარეობაში ვარ ხოლმე, რომ აი, მეც ვერ გავიგე და შენ როგორ აგიხსნა და გვიწევს ხოლმე მერე მასწავლებელთან ცალკე დარეკვა, რომ ბავშვს აუხსნას, რომ როგორმე საშინაო დავალება მაინც გავაკეთოთ.“ (მშობელი, მარნეული)

კვლევამ გამოავლინა, რომ მართალია არსებობს სახელმძღვანელოების ადაპტირების მცდელობები, რომლებიც ლოკალურ კონტექსტს მოერგება და ამასთან დაკავშირებით, ადგილობრივი პედაგოგებიც ჩართეს სახელმძღვანელოების თარგმნისა და ადაპტირების პროცესში, მაგრამ რესპონდენტების აზრით, მაინც არსებობს სხვადასხვა ბიუროკრატიული ბარიერები, რომელთა გამოც კარგ სახელმძღვანელოებს მათ სკოლამდე ჯერ კიდევ არ მოუღწევია. მათი ვარაუდით, სახელმძღვანელოების თარგმნა, დამტკიცება და აღიარება დროში ძალიან იწელება. გამოკითხული პედაგოგების აზრით, მათემატიკის სახელმძღვანელოს თარგმანში ჩართული უნდა იყოს არა მხოლოდ ფილოლოგი, არამედ მათემატიკის მასწავლებელიც, რომ ამოცანის პირობების სწორად გადმოტანა მოხდეს და ბოლოს, სახელმძღვანელო უნდა დაარედაქტიროს ისეთმა ადამიანმა, რომელიც ორივე ენას, ქართულსაც და აზერბაიჯანულსაც მაღალ დონეზე ფლობს.

რაც შეეხება სომხურენოვანი სკოლის პედაგოგების მოსაზრებას სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით, ისინიც თანხმდებიან, რომ სკოლაში არის ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც მოსწავლეებისთვის გამოუსადეგარია. ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემურია უცხოურ ენოვანი, კერძოდ ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები. ერთ-ერთი ინგლისურის პედაგოგი ახალციხიდან ამბობს, რომ არსებული მერვე კლასის სახელმძღვანელო გაუგებარია და მოსწავლეებს და მასწავლებლებს ძალიან უჭირთ მისი გამოყენება სწავლა/სწავლების პროცესში. სომხურენოვანი მშობლები ეთანხმებიან აზერბაიჯანულენოვან მშობლებს და ამბობენ, რომ მათემატიკისა და ფიზიკის სახელმძღვანელოებს ადეკვატური თარგმანისა და ამოცანების გადმოცემის პრობლემა აქვთ.

„ის საგნები, რომლებიც გადათარგმნილია, აი, მაგალითად მათემატიკაში ხშირად გვხვდება ის, რომ შეცდომებია დაშვებული, ანუ შეცდომით არის თარგმანი და ზოგჯერ ბავშვებს უჭირთ. ანუ ამოცანას კითხულობს და ბავშვს არ ესმის. არასწორად არის გადათარგმნილი აი ეს პრობლემა გვაქვს.“ (მშობელი, ახალციხე)

ერთ-ერთმა ისიც კი გაიხსენა, რომ მეთორმეტე კლასში ფიზიკა აღარ ისწავლება, მაგრამ სახელმძღვანელოებს ისევ მე-12 კლასი აწერია. ამავე დროს, ერთ-ერთი სომხურენოვანი პედაგოგი ამბობს, რომ ზოგიერთი სახელმძღვანელო ხშირად განახლებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდის და მათ უწევთ ესგ-ს გაყვნენ სწავლებისას და არა სახელმძღვანელოს, ასევე დამატებით მოიძიონ ის მასალა, რომელიც ესგ-თია გათვალისწინებული, რაც მათ დამატებით ჩართულობას, დროსა და რესურსებს მოითხოვს, რომელიც ისევ და ისევ მოსწავლეებს აკლდებათ. მათი თქმით, კარგი იქნება სახელმძღვანელოები ესგ-სთან მოვიდეს თანხვედრაში.

ენის ბარიერი

გამოკითხული აზერბაიჯანულენოვანი პედაგოგების თქმით, მათ მთლიანობაში მოსწონთ პროგრამა „ვისწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ და მის ფარგლებში არსებული ენის შესწავლის კურსები, თუმცა, მათი თქმით, ეს მათთვის საკმარისი არ არის.

პედაგოგების მსგავსად, მშობლებიც დადებით განწყობას გამოხატავენ პროგრამა „ქართული, როგორც მეორე ენის“ მიმართ. მათი თქმით, ამ პროგრამის ფარგლებში არსებული ამოცანები და მასში ჩართული კონსულტანტები ეხმარებიან პედაგოგებსა და მოსწავლეებს ქართული ენის უკეთ დაუფლებაში. ერთ-ერთი მშობელი ამბობს, რომ:

„მოგვწონს პროგრამა „ქართული როგორც მეორე ენა“, რადგან უფრო თავისუფლად ისწავლიან ბავშვები ენას. რა თქმა უნდა, საქართველოში ცხოვრობენ და უნდა იცოდნენ არამარტო აზერბაიჯანული, არამედ ქართულიც უნდა იცოდნენ მშობლიურ დონეზე.“ (მშობელი, მარნეული)

თუმცა, მშობლები ამავე დროს ამბობენ, რომ ამ პროგრამის გარდა, მათ შვილებს სხვა დახმარება და ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან ენის სწავლების კუთხით არ აქვთ. ერთ-ერთი მშობელი რესპონდენტის თქმით, ქართულის სწავლა განსაკუთრებით უჭირთ იმ მოსწავლეებს, რომელთა მშობლებმაც ქართული არ იციან. მშობელი რესპონდენტები ფიქრობენ, რომ კარგი იქნება, თუ სახელმწიფო მშობლებისთვისაც შექმნის გადამზადების კურსებსა და ტრენინგებს.

რესპონდენტებს დადებითი დამოკიდებულება აქვთ „1+4“ პროგრამის მიმართაც, ისინი ამბობენ, რომ პროგრამა კარგია, ეხმარება ახალგაზრდებს ენის გაუმჯობესებაში, თუმცა, სამწუხაროდ, ეს არ აისახება ამ უკანასკნელთა დასაქმებაზე. აზერბაიჯანული წარმოშობის ახალგაზრდები, ისინიც კი, ვინც ქართულს სწავლობს, ვერ ახერხებენ საჯარო სექტორში დასაქმებას.

სომხურენოვანი პედაგოგებისა და მშობლების მოსაზრებები „1+4“ პროგრამასთან დაკავშირებით ასევე თანხვედრაში მოდის აზერბაიჯანულენოვანი პედაგოგების მოსაზრებებთან. მათი თქმით, „1+4“ პროგრამა წარმატებული და სასარგებლოა ახალგაზრდებისთვის სახელმწიფო ენის უნარების გაუმჯობესების კუთხით. ერთ-ერთი ახალციხელი მშობელი რესპონდენტის თქმით:

„1+4 ძალიან კარგი პროგრამაა. ბევრი სარგებლობს ჩვენთან, თითქმის 80% აბიტურიენტების ამ პროგრამით აბარებენ. ადრე მართლა ჩვენი დრო რომ გვახსენდება, უმეტესობა სომხეთში მიდიოდა ჩასაბარებლად. ეხლა უკვე ეს პროგრამა რომ არის ყველა ცდილობს, რომ აქ ჩააბაროს. მართლა ძალიან კარგი პროგრამა არი და ყველა კმაყოფილია.“ (მშობელი, ახალციხე)

მოსწავლეების მხრიდან სკოლის მიტოვების პრობლემა

გამოკითხული აზერბაიჯანული სკოლების პედაგოგების თქმით, სკოლის მიტოვების მაჩვენებელი ისევ მაღალია, ძირითადი მიზეზები არის ახალგაზრდა ქალების შემთხვევაში, ადრეული ქორწინება და სეზონური სამუშაოები ახალგაზრდა კაცების შემთხვევაში. რესპონდენტების

მიხედვით, სახელმწიფო ჯერჯერობით არ დგამს ქმედით ნაბიჯებს და არ აწარმოებს რაიმე საინფორმაციო კამპანიას ადრეული ქორწინებისა და სეზონური სამუშაოების, როგორც ახალგაზრდებისთვის განათლების მიღებაში ხელისშემშლელი ფაქტორის შესახებ. თუმცა, როგორც პედაგოგები ამბობენ, ადრეული ქორწინებისა და სეზონური სამუშაოებით გამოწვეული სკოლის მიტოვების პრობლემა ოდნავ უკეთესობისკენ არის დაძრული, ვინაიდან, ადგილობრივ მშობლებს უკვე სურვილი გაუჩნდათ, რომ მათმა შვილებმა განათლება მიიღონ და სხვა, შესაფერისი დასაქმების საშუალებები მოიძიონ.

მარნეულელი მშობლების მოსაზრებები თანხვედრაში მოდის პედაგოგების მიერ გამოთქმულ მოსაზრებასთან, რომ ისეთი ხშირი აღარ არის სკოლის მიტოვება ადრეული ქორწინებისა და სეზონური სამუშაოების გამო, თუმცა, ეს პრობლემა ისევ დღის წესრიგში დგას და სახელმწიფოს ჯერჯერობით რაიმე კონკრეტული ამოცანა არ განუხორციელებია ამის აღმოსაფხვრელად. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, აღნიშნული პრობლემა აქვთ სოციალურად დაუცველ და ეკონომიკურად დაბალი ფენის ოჯახებს:

„ოჯახების დახმარების მიზნით, ბავშვებს უწევთ სკოლის გაცდენა, იმიტომ რომ ოჯახებში უჭირთ. დახმარება სახელმწიფოსგან, რომც მიიღონ მაინც მუშაობენ, იმიტომ, რომ თუ არ სწავლობს ბავშვი, მე-9 კლასიდან გადის და მუშაობს ხელობით, ან რამით.“ (მშობელი, მარნეული)

პროფესიული განათლება და დასაქმების პრობლემები

გამოკითხული აზერბაიჯანულენოვანი მასწავლებლები თანხმდებიან, რომ უკანასკნელ ათწლეულში ეთნიკურად აზერბაიჯანელ ახალგაზრდებში პროფესიული განათლებისადმი ინტერესი გაჩნდა, რაც გამოიწვია ამგვარ განათლებაზე ხელმისაწვდომობამ. მარნეულში არსებობს საჯარო კოლეჯი „მოდუსი“, რომელიც ბავშვების დაინტერესების მიზნით, ხშირად აწყობს ღია კარის დღეებს, მოსწავლეებს შეუძლიათ თავისი თვალით ნახონ კოლეჯში არსებული მდგომარეობა და გაეცნონ, რა პროფესიების სწავლა შეუძლიათ იქ. თუმცა, კვლევამ გამოავლინა, რომ არსებობს აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის საჯარო სექტორში დასაქმების პრობლემები. მათი აზრით, ეს შესაძლოა ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციის გარკვეული ფორმაა, რომ აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს მერიასა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში, პოლიციაში, სასამართლოში, პროკურატურაში და სხვა საჯარო სამსახურებში არ ასაქმებენ.

აღნიშნულს ეთანხმებიან მშობლები მარნეულიდან. მათი თქმით, ეთნიკურად აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს განათლების მიუხედავად, უჭირთ დასაქმება. შესაბამისად, იძულებულნი არიან ისწავლონ კონკრეტული ხელობა და ჩაებან პროფესიულ განათლებაში. ერთ-ერთი მშობელი რესპონდენტის მიხედვით:

„ახალგაზრდები, განსაკუთრებით კაცები, მეტწილად უფრო ხელობას სწავლობენ და იქ საქმდებიან. შეიძლება ამთავრებენ სკოლას, ან უმაღლესს, მარა, როგორც ყველგან, მარნეულშიც, უძნელდებათ სამუშაოს პოვნა. სამუშაოს პოვნა ასე ადვილია არაა. შეიძლება ბავშვმა დაამთავროს რაღაც, მაგრამ იმ თავისი პროფესიით ვერ იმუშაოს და თავისდაუნებურად საქმდება სხვა რამით. პროფესიით ნაკლებად მუშაობენ.“ (მშობელი, მარნეული).

კვლევამ გამოავლინა, რომ დამატებით, მარნეულის რაიონში ახალგაზრდა კაცები დაინტერესებულნი არიან IT ტექნოლოგიების შესწავლით, რათა შემდგომ კერძო სექტორში დასაქმდნენ. რაც შეეხება ახალგაზრდა ქალებს, რესპონდენტების თქმით, ისინი უფრო ხშირად საქმდებიან ბანკებში, აფთიაქებში, ან კერძო კლინიკებში ექთნის პოზიციაზე. საჯარო სამსახურში დასაქმება მათთვისაც ხელმიუწვდომელია.

სომხურენოვანი პედაგოგები ამბობენ, რომ მათ რაიონში საჯარო სამსახურში სომხური წარმოშობის ადამიანების ასევე აქვთ დასაქმების პრობლემა, თუმცა ეს არ ეხება ისეთ ახალგაზრდებს, რომლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული.

> *„კი ძაღიან ბევჩი ასე ვთქვათ, ეთნიკუჩი უმციჩესობის მოსახღეობიდან ძაღიან ბევჩი მუშაობს ბანკებში, მუშაობენ გამგეობაში, მეჩიაში აი სხვადასხვა დაწესებუღებაში, უნივეჩსიტეტებში, სკოღებში. ანუ დასაქმების პეჩსპექტივა აქვთ, ვისაც უნივეჩსიტეტი აქვს დამთავჩებუღი, ჩა თქმა უნდა.“ (პედაგოგი, ახაღციხე)*

სსსმ პირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობა

ორივე სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი რესპონდენტები თანხმდებიან, რომ მათ სკოლებში მთავარ პრობლემას სსსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული სასწავლო გარემოს არარსებობა წარმოადგენს. რესპონდენტებმა ისაუბრეს, რომ სკოლებს არ გააჩნიათ პანდუსები და ადაპტირებული საპირფარეშოები. მართალია, ამ მიმართულებით კარგი პედაგოგები ჰყავთ და სპეციალური მასწავლებლის ე. წ. რესურს ოთახიც არსებობს, ესაა ოთახი, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს მოსწავლეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილების ყველა აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, თუმცა ინფრასტრუქტურული გაუმართაობა მაინც არაერთ პრობლემას წარმოქმნის, რომელთა აღმოსაფხვრელადაც სახელმწიფოს ჯერ ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს. ერთ-ერთი სომხურენოვანი პედაგოგი რესპონდენტის მიხედვით, ასევე პრობლემურია სომხურენოვანი მასალები და რესურსები სსსმ მოსწავლეებისათვის:

> *„მე ვაჩ სპეციაღუჩი მასწავღებეღი. ვინაიდან ჩვენი სკოღა სომხუჩენოვანი სკოღაა, ძაან აჩის ღეფიციტუჩი ჩვენთან სომხუჩენოვანი ჩესუჩსები. აჩ აჩის გაჩემო ადაპტიჩებუღი, პანდუსები აჩ აჩის.“ (პედაგოგი, ახაღციხე)*

ფსიქოლოგის არარსებობა სკოლებში, რათა მოიხსნას ის ფსიქოლოგიური წნეხი რაც პოსტ COVID-19 პერიოდში წარმოიშვა

ისევე, როგორც აზერბაიჯანულენოვანი, ასევე სომხურენოვანი სკოლის მასწავლებლები და მშობლები საუბრობენ, რომ მიუხედავად COVID-19-ისა და პოსტ COVID-19 პერიოდის სირთულეებისა, სკოლებს არ ჰყავთ ფსიქოლოგები, რომლებიც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს დაეხმარებოდნენ სწავლა-სწავლების მართვაში. პოსტ COVID-19-ის პერიოდში სკოლებში არსებობს რამდენიმე გამოწვევა, მათ შორის აღსანიშნავია მოსწავლეებისა და

მასწავლებლების მაღალი ფსიქოლოგიური დაძაბულობის ფონი, რომელიც გამოწვეულია COVID-19-ის პერიოდში სახლში ყოფნითა და ონლაინ სწავლებით. მოსწავლეები მიეჯაჭვნენ ტელეფონებს და ძალიან უჭირთ საკლასო ოთახებიდან დასწრება გაკვეთილებზე. პედაგოგების თქმით, მოსწავლეები გადაჩვეულები არიან საკლასო სწავლებას, თუმცა ამ მიმართულებით სახელმწიფოს ჯერჯერობით ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს, სკოლებთან არ ყოფილა შეხვედრები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ პოსტ COVID-19-ის ფონზე არსებულ გამოწვევებს. ამასთანავე, მათი თქმით, სკოლებში არ არის ფსიქოლოგი, რომ მოსწავლეებს დაეხმაროს იმ სირთულეების დაძლევაში, რომლებსაც ისინი ოფლაინ რეჟიმში სწავლების პროცესში აწყდებიან.

7.1.2 ქართულენოვანი სკოლები

საგნობრივი ჩამორჩენა სკოლებში პოსტ COVID-19-ის პირობებში

ქართულენოვანი სკოლების მშობლები თბილისიდან და რეგიონიდან ამბობენ, რომ COVID-19-ის პერიოდმა მოსწავლეების საგნობრივი ჩამორჩენა გამოიწვია, რომელმაც პოსტ COVID-19-ის პერიოდში განსაკუთრებით იჩინა თავი. ეს შესაძლოა გამოიწვია იმან, რომ მაგალითად რეგიონის ზოგიერთ სკოლაში, პედაგოგებმა ფიზიკასა და გეოგრაფიაში ვერ გაიარეს სრული კურსი და გარკვეული საკითხები ასახსნელი დარჩათ. მეორე მსხვილი პრობლემა, რომელიც კვლევამ ქართულენოვან სკოლებში გამოავლინა, არის მოსწავლეების "გაზარმაცება" და ელექტრონულ გაჯეტებზე, ტელეფონებსა და კომპიუტერებზე მიჯაჭვულობა.

ქართულენოვანი რეგიონული სკოლის მშობლების თქმით, პოსტ COVID-19-ის პერიოდში შესაძლოა სკოლებში ყველაზე მასშტაბური პრობლემა STEM-ის და უცხო ენის საგნებში მოსწავლეთა ჩამორჩენაა. ერთ-ერთი მშობელი რესპონდენტის თქმით:

> *„მაგალითად, გეოგრაფიაში, ფიზიკაში ვფიქრობთ, რომ უფრო წინ ვიქნებოდით, სწავლის დონე უფრო მაღალი გვექნებოდა კლასში, რომ ვყოფილიყავით მთელი წელი. ცოტა ხალაც თვითონ ბავშვიც ამბობს, რომ ცოტა გაუჭირდა, მაგალითად ფიზიკა უკეთესი იქნებოდა კლასში." (მშობელი, რეგიონი)*

თბილისში მაცხოვრებელი მშობლების მიხედვითაც, COVID-19-ის პერიოდში მოსწავლეებს სჭირდებათ STEM-ის და უცხო ენის საგნებში დამატებითი მომზადება, უმაღლესში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად. ამ საგნებში თბილისის ქართულენოვან სკოლებში შესაძლოა მოსწავლეები უმაღლესში ჩაბარებისათვის შესაბამისს ცოდნას ვერ იღებენ. მშობლების თქმით, ამ პრობლემას ორი მიზეზი იწვევს, საგაკვეთილო დროის სიმცირე და კლასში მოსწავლეების რაოდენობა. მათი თქმით, ძნელია 45 წუთში 30-ზე მეტ მოსწავლეს რაიმე ასწავლო.

სოციალური ურთიერთობების დეფიციტი და ბავშვების გაუცხოება

ონლაინ სწავლების დროს სოციალური ურთიერთობების ნაკლებობამ გამოიწვია ის, რომ მოსწავლეები ერთმანეთის მიმართ გაუცხოვდნენ. მშობელთა აზრით, ეს პრობლემა ყველაზე მწვავედ გამოვლინდა პოსტ COVID-19 პანდემიის დროს, როცა ბავშვები საკლასო ოთახებში დაბრუნდნენ. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

> *„ძაღიან გაუცხოვდნენ ბავშვები, თვითონ კლასელები ეჰთმანეთისთვის, აი, ამ აჰ სიაჰუღით. უჰთიეჰთობების დეფიციტი აჰის, ახლა ჰომ მოიხსნა ეს შეზღუდვები და ჩვენ წავედით სკოლაში, ძაღიან უცხოები აჰიან ბავშვები ეჰთმანეთისთვის. გაკვეთიღზე ჯდომა და მასწავლებლის მოსმენაც უჭიჰთ.“ (მშობელი, თბილისი)*

თბილისისა და რეგიონის ქართულენოვანი სკოლების მშობლების თქმით, სკოლა, დირექცია და მასწავლებლები ცდილობენ დაეხმარონ მოსწავლეებს პოსტ COVID-19-ის პერიოდის სირთულეებთან ადაპტაციაში, თუმცა, რაიმე გაწერილი ამოცანები კურიკულუმში არ აქვთ. პრობლემის მოგვარებას მასწავლებლები ცდილობდნენ მშობლებთან კონსულტაციებისა და შეხვედრების ჩატარების გზით. მათი თქმით, ზოგიერთი საგნის მასწავლებლებმა გამონაკლისი დაუშვა და დამატებით დაიწყეს შეხვედრა იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც საგნობრივი ჩამორჩენა ჰქონდათ, თუმცა, ამ მიმართულებით სახელმწიფოს სხვა, ქმედითი ჯერჯერობით არაფერი გაუკეთებია.

სახელმძღვანელოების პრობლემა ქართულ სკოლებში

თბილისისა და რეგიონის ქართულენოვანი სკოლების მშობლების მიხედვით, STEM-ის სახელმძღვანელოები ოდნავ გაუგებარია მოსწავლეებისათვის, მათთვის დამაბნეველია სახელმძღვანელოებში მოყვანილი მაგალითები, რომლებიც ამავე დროს არასაკმარისია და მასწავლებლებს უწევთ მოსწავლეებს სთხოვონ დამატებითი წყაროების მოძიება იმისათვის, რომ უკეთ გაიგონ, რაც სახელმძღვანელოთი და ესგ-ითაა დაგეგმილი. კვლევამ გამოამჟღავნა, რომ მშობლებს არ მოსწონთ ინგლისურის სახელმძღვანელოებიც, მათი თქმით, ოდნავ რთული და გაუგებარია მოსწავლეებისათვის აღნიშნული სახელმძღვანელოები, განსაკუთრებით მათთვის, ვისმა მშობლებმაც ინგლისური არ იციან და ვერ ახერხებენ შვილების დახმარებას. ერთ-ერთი ქართულენოვანი სკოლის მშობლის მიხედვით:

> *„მგონია, ჰომ ინგლისუჰის სახელმძღვანელოც აჰაა კაჰგად აწყობილი ბავშვებისთვის. ვისმა მშობელმაც ინგლისუჰი იცის, შეძლო დახმაჰება მაგ მხრივ, ჰომ დაწეოდა გაკვეთილებს და ვისმა მშობლებმაც აჰ იცოდა, იმ ბავშვებს ძაღიან გაუჭიჰდათ. ასევე მათემატიკაში და ფიზიკაში ცოტა მეტ მაგალითებს შევიტანდი, ძაღიან ცოტა სავაჰჯიშოებია და მასწავლებელს უწევთ ხოლმე დამატებითი სავაჰჯიშოების მოძიება.“ (მშობელი, თბილისი)*

სახელმძღვანელოების პრობლემასთან ერთად არსებობს ლაბორატორიების პრობლემა. სკოლების უმეტესობას არ გააჩნია ფიზიკისა და ქიმიის თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ლაბორატორიები.

7.2 რეგიონული შეხვედრის შედეგები

პროექტის გუნდი გაემგზავრა ერთ-ერთ რეგიონში და ადგილზე გამართა ინფორმაციული შეხვედრა საჯარო სკოლის მასწავლებლებთან და მასწავლებელთა პროფკავშირის წარმომადგენლებთან. აღნიშნული შეხვედრის დროს გაიმართა დისკუსია პოსტ COVID-19 პერიოდში განათლების სისტემაში არსებული გამოწვევების გამოსავლენად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებს და საჭიროებებს.

7.2.1 პოსტ COVID-19 პერიოდში განათლების სისტემაში არსებული გამოწვევები

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რომელიც მასწავლებლებთან შეხვედრის დროს გამოვლინდა არის მოტივაციის ნაკლებობა როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის მხრიდან. შეხვედრების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის მოტივაციის ნაკლებობის მიზეზი გაჯეტებზე დამოკიდებულება შეიძლება იყოს, მასწავლებლისთვის კი მოსწავლეთა აპათია. როგორც რესპონდენტი მასწავლებელი აღნიშნავს, ეს პრობლემა COVID-19-მდეც იდგა, თუმცა COVID-19-მა კიდევ უფრო გაამწვავა სიტუაცია.

> *„ბოღო წლებია მოსწავლეთა ინტერესი სწავლის მიმართ ახის ძალიან დაბალი. მოტივაციის ნაკლებობაა, მოსწავლეს ეთი სული აქვს ხოდის გამოვა გაკვეთილი, ხომ წავიდნენ სახლში და პლანშეტი დაიჭიხოს.“*

პანდემიამ წინ წამოსწია ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარების აუცილებლობა. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ აუცილებელია ყველა მასწავლებელი გაუმკლავდეს მის წინაშე არსებულ იმ გამოწვევებს, რომელსაც კონკრეტული დრო და მოთხოვნები უყენებს.

ამასთანავე მნიშვნელოვანი ის, თუ რამდენად აქვს სკოლას ტექნიკური მხარდაჭერა, რათა გამოიყენოს ინტერნეტ სივრცეში არსებული რესურსები ბავშვებისთვის უკეთესი განათლების მისაცემად. შეხვედრამ გამოავლინა, რომ სკოლების უმეტესობაში არსებობს ტექნიკური პრობლემები, ინტერნეტი ხელმისაწვდომი არაა, პროექტორების და კომპიუტერების რაოდენობა მცირეა და ასევე მოძველებული.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სკოლებისთვის განსაკუთრებით კი რეგიონებში არის ინფრასტრუქტურის პრობლემები. ზოგიერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო გარემო არის სრულიად შეუფერებელი სასწავლო პროცესისთვის. მსგავსი პრობლემის გამო ერთ-ერთი მასწავლებელი აღნიშნავს:

„პრობლემა არის სკოლაში ინფრასტრუქტურა. მე მაგალითად გაცილებით მიადვილებდა გაკვეთილის ჩატარება Teams პლატფორმაზე, ვიდრე სკოლაში იმიტომ, რომ მე ლესუხსი არ მაქვს.“

მასწავლებელთა უმრავლესობა აღიარებს, რომ კლასებში მოსწავლეთა ჭარბი რაოდენობა ხელს უშლის მათ იმაში, რომ თითოეულ მოსწავლეს სათანადო ყურადღება დაუთმონ და იწვევს მოსწავლეთა მიერ რეპეტიტორისთვის მიმართვის გაზრდილ მაჩვენებლებს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, მასწავლებლების აზრით, 25-27 კაციანი კლასები უნდა დაიყოს 15 კაციანად.

შემდეგი გამოწვევა, რომელიც გამომჟღავნდა, არის პედაგოგების მხრიდან Teams-ის მართვის უნარების არ ქონა. ერთ-ერთი მასწავლებელი რეგიონიდან ამბობს, რომ სოფლად მცხოვრებ მასწავლებლებს ძალიან გაუჭირდათ დისტანციური სწავლებისთვის ფეხის აწყობა, ინტერნეტის, ტექნოლოგიებისა და ციფრული წიგნიერების კომპეტენციის არ ქონის გამო. ამასთანავე მათი სურვილი, რომ აეთვისებინათ ეს უნარ-ჩვევები იყო ძალიან დაბალი. მასწავლებელთა ნაწილმა ტრენინგზე დასწრების და სწავლის მაგიერ სხვისი დახმარების იმედად ყოფნა არჩია.

„როცა გადამზადების ცენტრის დირექტორმა შემომთავაზა ასეთი სახის მოდული Teams-ის 6 საათიანი პროგრამა და მთხოვა გადმომიგზავნე სია ვინაა დაინტერესებული, ერთი მასწავლებელიც ვერ მოვაგროვე ქუთაისში. დასკვნა ასეთი იყო: 6 საათი ტრენინგზე ჯდომას მიჩევნია ასე იოლას გავიდე ბიძაშვილ-მამიდაშვილების დახმარებით.“

როგორც შეხვედრებმა გამოავლინა სურვილის ნაკლებობა ასევე გამოწვეული იყო იმით, რომ მასწავლებელთა უმრავლესობას გასავლელი აქვს საკმაოდ დატვირთული სავალდებულო ტრენინგები და სხვა ტრენინგების დამატება მათთვის დამღლელია.

„ეს ქრონიკული ტრენინგებიც ცუდია და უნდა მოხდეს სწორი მენეჯმენტი, რომ დაესწრო მარტო შენთვის საჭირო ტრენინგს.“

პოსტ COVID-19 სიტუაციის ანალიზის დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ არის დიდი დანაკარგები სწავლის ხარისხის შემცირების გამო. ეს დანაკარგები განსაკუთრებით ეხებათ პირველ-მეორე კლასის ბავშვებს, რომელთაც წერა-კითხვასთან ერთად სასწავლო პროცესის შესაბამისი უნარ ჩვევების შეძენა ვერ შეძლეს. როგორც ერთ-ერთი მასწავლებელი დანაკარგებზე საუბრისას ამბობს:

„დავბრუნდით სკოლაში მოხდა შეჯამება და გამოვავლინეთ, რომ არის უდიდესი დანაკარგები. დღეს მოსწავლეთა სწავლის მხრივ გვაქვს უდიდესი დანაკარგები და ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ეს დანაკარგები როგორმე შევავსოთ.“

მასწავლებელთა უმრავლესობა თვლის, რომ იმისათვის რომ დაიხვეწოს სისტემა სკოლამ ავტონომიურობა უნდა შეიძინოს, ოღონდ ფუნქციური ავტონომიურობა, რაც გულისხმობს იმას, რომ თვითონ შეძლონ თავისი სკოლის საჭიროებებზე მორგებული გეგმის შემუშავება. ამ შემთხვევაში თავიდან ავიცილებთ ზედმეტ ბიუროკრატიას და სკოლაც რეალურად შეძლებს ბავშვის ინტერესების პირველ ადგილზე დაყენებას.

„სკოლას უნდა ჰქონდეს ავტონომია სასკოლო-სასწავლო პროცესში, მომცეს მე სახელმწიფომ ჩარჩო, მე ვიმუშავებ იმ სასწავლო გეგმას დავაკმაყოფილებ ოღონდ რა ფორმით ეს უნდა იყოს ჩემი გადასაწყვეტი.“

7.2.2 მოწყვლადი ჯგუფების პრობლემები

ერთ-ერთი განხილვის თემა შეხვედრის დროს იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლეების პრობლემები და ის საჭიროებები რაც აუცილებელია მათი განათლების სისტემაში სრულყოფილად ჩასართველად. მთავარი პრობლემა, რომელიც გამოიკვეთა არის მშობლების მხრიდან იმის აღიარება, რომ მის შვილს აქვს გარკვეული საჭიროებები.

„ამ კუთხით მთავარი პრობლემა არის ის, რომ მშობელს ძალიან უჭირს აღიაროს შვილის მდგომარეობა და თუ არ აქვს მკვეთრად გამოხატული სიმპტომები ის დანარჩენი ქცევის რაც არის ცელქობამდე მიდის, რაც ხელს უშლის მისი სწავლის ხარისხს.“

მშობლის მხრიდან აღიარების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია აქტიურად იყოს ჩართული ბავშვის განვითარებაში და ითანამშრომლოს სკოლასთან, რათა მოხდეს მისი ბავშვისთვის ინკლუზიური განათლების მიცემა.

„თუ ბავშვს სტატუსი მიენიჭა, მშობელი ფიქრობს რომ გვერდზე უნდა გადგეს, არადა ის სტატუსი მას ავალდებულებს, რომ მაქსიმალურად ჩაერთოს. ასე რომ თანამშრომლობა არის გართულებული მშობელს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. აი ეს სამკუთხედი არ იკვრება იმ შემთხვევაში თუ მშობელი არის გვერდზე გამდგარი.“

ამას გარდა პანდემიამ მოწყვლადი ჯგუფის მოსწავლეები რთულ სიტუაციაში ჩააგდო, რადგან მათთვის რთული იყო ონლაინ გაკვეთილებზე გაჩერება. ამასთანავე შეუძლებელი გახდა მათთვის ინდივიდუალური დახმარების გაწევა შემოღებული შეზღუდვების სიმკაცრის გამო. დამხმარეები სახლში ვერ აკითხავდნენ, რამაც ასევე წინა პლანზე წამოწია მშობელი და მისი აქტიური ჩართულობა.

შეხვედრამ აჩვენა რომ არსებობს სპეციალური მასწავლებლების არასაკმარისი რაოდენობა სკოლებში. მათი დაბალი ხელფასი კიდევ უფრო არამიმზიდველს ხდის ამ პროფესიას. ეს ყოველივე კი ართულებს სსსმ პირებთან მუშაობას. ამ ფაქტორებთან ერთად მათთან მუშაობა კიდევ უფრო რთულდება თუ კლასი არის მრავალრიცხოვანი და მასწავლებელს უწევს, რომ სხვადასხვა აქტივობები მოიფიქროს საგაკვეთილო პროცესში ყველა მოსწავლის თანაბრად ჩასართველად.

„კლასში ოხი ბავშვი თუა იმას სხვა დიაგნოზი აქვს, ამას სხვა და სხვადასხვა აქტივობა უნდა მისცე. აქეთ 26 ბავშვი გყავს კიდევ უკან ძალიან ხთუღია მუშაობა. ხთუღია მუშაობა ამასთან ეხთად თუ მხავაღხიცხოვანი კლასი გყავს და ძალიან დიდი გამოწვევებია ამ მიმახთუღებით. თუ ბავშვი კლასს მოაშოხე და გამოიყვანე მაშინ აზხი აღახ აქვს, მისი სოციაღიზაცია აღახ ხდება.“

მოწყვლადი ჯგუფებისთვის კიდევ ერთი დიდი პრობლემა არის ის, რომ მათ არ აქვთ დასაქმების პერსპექტივა. როგორც შეხვედრების დროს აღინიშნა სკოლის დამთავრების შემდგომ მსგავსი საჭიროებების მოსწავლეები ვერ საქმდებიან ვერც საჯარო და ვერც კერძო სამსახურებში და უწევთ, რომ სოციუმს ჩამოშორდნენ. შესაბამისად, სკოლაში შეძენილი სოციალიზაციისთვის საჭირო უნარების რეალიზება არ ხდება.

„ხაც შეეხება სსსმ მოსწავღეების დასაქმებას საეხთოდ საქახთვეღოში დიდი გამოწვევაა. ჩვენ, მაგაღითად, შახშან გავუშვით ოხი ასეთი მოსწავღე იმის წინაც ოხი და ესენი დაუსაქმებღები ახიან სახღში სხედან, ღედას ეხმახებიან.“

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა არის შესაბამის ინფრასტრუქტურის არარსებობა. რაიონის სკოლების უმეტესობაში არ არსებობს პანდუსები, რაც შეუძლებელს ხდის შშმ პირების გადა-ადგილებას დახმარების გარეშე. ასევე არსებობს რესურსებისა და ინფორმაციის ნაკლებობა.

„ახ ახის ეს ხესუხს ოთახები აღჭუხვიღი. ხესუხს ოთახი ჩვეუღებხივი საკღასო ოთახია, სადაც ახის ავეჯი სპეციაღუხი აქვთ ტექნიკა, მასაღები აქვთ საძეხწები, ფანქხები თითოეუღი მოსწავღისთვის მშობეღს მოაქვს ეს თუ ახადა სკოღა ყიდუღობს მათთვის, მათი შესაბამისი ავეჯი.“

განათლების სექტორი

აუცილებელია განათლების სექტორზე გამოყოფილი ფინანსური რესურსების ზრდა, რაც ხელს შეუწყობს მასწავლებლის პროფესიის განვითარებას და გააუმჯობესებს სწავლის ხარისხს.

2021 წელს, საქართველოს მიერ განათლების სექტორისთვის გამოყოფილი რესურსები, მშპ-თან მიმართებაში ბოლო ათი წლის მინიმალურ მაჩვენებელზეა. აღნიშნული, იწვევს მასწავლებლების დაბალ ანაზღაურებას და შესაბამისი სასწავლო ინფრასტრუქტურის ნაკლებობას. მაშინ, როდესაც მასწავლებლის დატვირთულობა გაზრდილია და მასწავლებლის პროფესია სულ უფრო არაპოპულარულია. აღნიშნულთან ერთად, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში, მაღალმთიან სოფლებში და ზოგადად რეგიონებში გვაქვს მასწავლებელთა არასაკმარისი რაოდენობის პრობლემა.

კლასებში მოსწავლეების რაოდენობის შემცირება დაეხმარება სასწავლო პროცესის ეფექტიანობას, ვინაიდან მოსწავლეების მონიტორინგის საშუალება გაიზრდება. ასევე, სასურველია სოციალური ინტერაქციის ზრდა მოსწავლეებში, პოსტ COVID-19 სწავლების პირობებში, რათა გადაილახოს ის გაუცხოება, რაც ონლაინ სწავლებამ გამოიწვია.

ფოკუს ჯგუფებში ჩატარებულმა თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ მოსწავლეების ჭარბი რაოდენობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა სასწავლო პროცესისათვის. ასევე, პოსტ COVID-19-ის პერიოდში მოსწავლეთა უმეტესობას ძალიან გაუჭირდა სოციალური ურთიერთობების განახლება, რაც გვიჩვენებს ისეთი აქტივობების გაზრდილ საჭიროებას, რომლებიც დაეხმარება ბავშვებს ჩვეული ცხოვრების სტილში დაბრუნებაში. სსსმ მოსწავლეებს კი, რომლებიც ვერ იღებდნენ მათი საჭიროებების შესაბამის მომსახურებას COVID-19-ის გამო, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოთ, რათა შეძლონ როგორც ხარისხიანი განათლების მიღება, ისე თანატოლებთან ინტერაქცია.

ზოგადი განათლების სისტემა საჭიროებს კვლევებზე დაფუძნებულ ძირეულ რეფორმას, მათ შორის სკოლის დამთავრებისთვის აუცილებელი კრიტერიუმების გაუმჯობესებამ, შეიძლება პოზიტიურად იმოქმედოს მოსწავლეების მოტივაციაზე, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლის არჩევანზე და შესაბამისად სწავლის ხარისხზე.

საქართველოში უმუშევრობის დონე უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალაში ბევრად მაღალია ვიდრე სხვა ქვეყნებში, რაც განპირობებულია იმით, რომ უმაღლესი განათლების სისტემა აწვდის ეკონომიკას კურსდამთავრებულებს, რომლებიც არ არიან მზად თანამედროვე შრომითი ბაზრის მოთხოვნებს უპასუხონ. ზოგადი განათლების რეფორმებს, მაგალითად, სკოლის დამთავრების კრიტერიუმის გაუმჯობესებას შეუძლია შეცვალოს სტუდენტების გადანაწილება პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში. ეს კი ქვეყანას დაეხმარება განავითაროს კვალიფიციური ადამიანური კაპიტალი და ხელი შეუწყოს მოსახლეობის ინტეგრაციას შრომით ბაზარზე.

სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს საგანგებო გეგმა, რათა შეამციროს გაუთვალისწინებელი მოვლენების ზეგავლენა და სისტემა მზად იყოს ყველა გამოწვევისთვის იმ შემთხვევაში, თუ პანდემიის გამო კიდევ მოხდება კარანტინის გამოცხადება.

COVID-19 პანდემიამ გვიჩვენა, რომ აუცილებელია საგანგებო გეგმის ქონა, რათა მოულოდნელი ცვლილებების დროს განათლების სისტემამ გამართულად იფუნქციონიროს. პოსტ COVID-19 პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსგავსი გეგმის არსებობა, რადგანაც დადებითობის კოეფიციენტის უეცარი მატების შემთხვევაში შესაძლებელია საგანმანათლებლო დაწესებულებები კვლავ დაიკეტოს და სახელმწიფო მზად უნდა იყოს მსგავსი შემთხვევებისთვის.

შეფასდეს მასწავლებელთა სპეციფიკური საჭიროებები ტექნოლოგიებსა და სხვადასხვა უნარებში, რათა მათი გადამზადება განხორციელდეს კონკრეტული მიმართულებების მიხედვით, მათ შორის ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით.

კვლევის დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს უწევთ სხვადასხვა ტრენინგის გავლა სახელფასო დანამატის მისაღებად, თუმცა ეს ტრენინგები არ ითვალისწინებს თითოეული მათგანის საჭიროებებს. მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების შეუფერხებლად მიწოდებისთვის აუცილებელია მასწავლებელთა საჭიროებების შეფასება და ამის მიხედვით მათთვის საჭირო ტრენინგის შეთავაზება. წინააღმდეგ შემთხვევაში ტრენინგი არის დროის ფუჭი ხარჯვა. ყველა მასწავლებელს უნდა ჰქონდეს კომპიუტერული ტექნოლოგიების სხვადასხვა უნარები.

ეთნიკური უმცირესობები და მოწყვლადი ჯგუფები

მნიშვნელოვანია ქართული ენის შემსწავლელი კურსების რაოდენობისა და ხელმისაწვდომობის ზრდა, რათა ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებასთან ინტეგრაცია მოხდეს და მათ შეძლონ ხარისხიანი განათლების მიღება.

ფოკუს ჯგუფებში ჩატარებულმა თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ სოფლად დასახლებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ვერ ფლობენ ქართულ ენას და შესაბამისად ვერ ეხმარებიან შვილებს ხარისხიანი განათლების მიღებაში. შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფომ უზრუნველყოს უფრო მეტი ქართული ენის კურსები სხვადასხვა ლოკაციაზე. ამასთან, კურსებს უნდა ესწრებოდნენ როგორც მასწავლებლები, ისე მშობლები, რათა თითოეულ ბავშვს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა ხარისხიანი განათლების მიღების.

სახელმძღვანელოების პრობლემის მოსაგვარებლად, აუცილებელია, თარგმანში ჩართული იყოს არა მარტო ფილოლოგი არამედ იმ საგნის სპეციალისტიც, რომლის თარგმნაც ხდება. ამასთანავე, იმისთვის, რომ სახელმძღვანელოები თანხვედრაში მოვიდეს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან საჭიროა დროული თარგმნა და დისტრიბუცია თითოეულ სკოლასთან.

ეთნიკური უმცირესობების ენაზე გამოცემულ სახელმძღვანელოებში არის ბევრი შეცდომა, რაც ართულებს მისი აღქმის პროცესს. ფოკუს ჯგუფებმა გვაჩვენა, რომ აუცილებელია სწრაფად და ხარისხიანად მოხდეს სახელმძღვანელოების თარგმნა, დამტკიცება და აღიარება, რისთვისაც საჭიროა სხვადასხვა საგნის სპეციალისტების ჩართულობა და რესურს ცენტრების გამართული ფუნქციონირება.

ისეთი სოფლის მაცხოვრებლებისათვის, სადაც არ არიან საკმარისი რაოდენობის მასწავ-ლებლები ან არაა სკოლები, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოსწავლეების სკოლამდე და სკოლიდან სახლამდე ტრანსპორტირების პროცესი.

ფოკუს ჯგუფებში ჩატარებულმა თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ ეთნიკური უმცირესობების სკოლებში მასწავლებლების არასაკმარისი რაოდენობაა და ზოგიერთ სოფელში საერთოდ არ ფუნქციონირებს სკოლა. აუცილებელია სახელმწიფომ უზრუნველყოს ასეთი სოფლების მოსწავლეების ტრანსპორტირების პროცესი, რათა ყველა ბავშვს ჰქონდეს თანაბარი წვდომა ხარისხიან განათლებაზე.

აუცილებელია, სახელმწიფომ აწარმოოს საინფორმაციო კამპანია ადრეული ქორწინების, როგორც ახალგაზრდებისთვის განათლების მიღებაში ხელისშემშლელი ფაქტორის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სკოლის მიტოვების მაჩვენებლის კლების ტენდენცია ეთნიკური უმცირესობებისთვის, დღემდე ეს მაჩვენებელი ძალიან მაღალია, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანულ თემში. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, ამ მხრივ სახელმწიფოს მხრიდან არ იდგმება ქმედითი ნაბიჯები, არადა ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ამისათვის კი სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს გეგმა, ჩაატაროს ტრენინგები და დაბეჭდოს ბროშურები, რათა თითოეულმა ადამიანმა გაიაზროს ამ პრობლემის არსი.

აუცილებელია, სახელმწიფომ უზრუნველყოს სტაჟირებისა და დასაქმების პროგრამები, რათა როგორც ეთიკური უმცირესობების, ისე სსსმ თუ შშმ პირების ჩართვა მოხდეს ეკონომიკურ საქმიანობაში.

იმისათვის, რომ მოწყვლადი ჯგუფების სრულფასოვანი ჩართვა მოხდეს ეკონომიკურ საქმიანობაში, აუცილებელია, რომ არსებობდეს მათი საჯარო სექტორში სტაჟირებისა და დასაქმების მრავალფეროვანი პროგრამები. როგორც რეგიონული დისკუსიიდან გამოიკვეთა, სკოლადამთავრებული სსსმ მოსწავლეთა უმეტესობა უმუშევარია, ისინი დისტანცირებულნი არიან საზოგადოებისგან და ვერ იყენებენ იმ უნარ-ჩვევებს, რასაც სკოლაში ინდივიდუალური გეგმის, სპეციალური მასწავლებლისა და ასისტენტის წყალობით იძენენ. შესაბამისად ინკლუზიური განათლების მიზნები ვერ განხორციელდება, თუკი სახელმწიფო არ უზრუნველყოფს საზოგადოების თითოეული წევრისთვის თანაბარი დასაქმების შესაძლებლობის შექმნას განურჩევლად მისი ეთნიკური წარმომავლობისა.

საჭიროა სტატისტიკური მონაცემების შეგროვება "1+4" პროგრამის ფარგლებში სტაჟირების პროგრამით მოსარგებლეთა დასაქმების შესახებ.

მართალია, „1+4" პროგრამა აძლევს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ახალგაზრდებს სტაჟირების გავლის შესაძლებლობას სხვადასხვა საჯარო სამსახურებში, თუმცა არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები შემდგომ თუ ხორციელდება ამ პირების დასაქმება. ასე, რომ აუცილებელია დასაქმების მაჩვენებლის წარმოება, რათა სწორად შეფასდეს თუ რამდენად წარმატებულია აღნიშნული პროგრამა.

აუცილებელია, სახელმწიფომ უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ადაპტაცია სსსმ და შშმ პირების საჭიროებების მიხედვით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია რესურს ოთახების თანამედროვე რესურსებითა და ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა მოსწავლისთვის სასწავლო პირობების შექმნა. სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისთვის აუცილებელია სკოლების რეაბილიტაცია და ტექნიკური აღჭურვა, განსაკუთრებით კი რეგიონების სკოლების. იმისათვის, რომ მოწყვლადი ჯგუფების სრულფასოვანი ჩართვა მოხდეს სასწავლო პროცესში, აუცილებელია მათ საჭიროებებს მორგებული ინფრასტრუქტურის შექმნა და რესურს ოთახების სრულყოფილად აღჭურვა.

საჭიროა, სკოლაში ფსიქოლოგის და მეტყველების თერაპევტის დამატება, რაც დაეხმარება როგორც სსსმ, ისე ნებისმიერ სხვა მოსწავლეს COVID-19-ით და სხვა გარემოებებით გამოწვეულ სტრესთან გამკლავებაში.

პოსტ COVID-19-ის პერიოდში მოსწავლეებში წარმოქმნილი გაუცხოებისა და წნეხის შესამსუბუქებლად, ასევე, სსსმ მოსწავლეებისთვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევის მიზნით, აუცილებელია, სკოლაში იყვნენ ფსიქოლოგები. ამასთანავე, სსსმ მოსწავლეების უკეთ ინტეგ-რაციისთვის, სასურველია, სკოლებში მეტყველების თერაპევტების ყოფნა.

განათლების პოლიტიკის ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია, დაიგეგმოს და ჩატარდეს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც მეტად ჩართავს მშობლებს სასწავლო პროცესში.

რეგიონულმა შეხვედრამ გამოავლინა, რომ სწავლების პროცესში აუცილებელია გამართულად ფუნქციონირებდეს მშობელს, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არსებული სამკუთხედი. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში, რომ უზრუნ-ველყოფილი იყოს მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში. მშობლის ჩართულობა დაეხმარება სკოლას ინკლუზიური განათლების მიცემის პროცესში.

აბრევიატურები

ა.შ – ასე შემდეგ

დღგ – დამატებული ღირებულების გადასახადი

ესგ – ეროვნული სასწავლო გეგმა

ეუთო – ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

ე.წ. – ეგრეთ წოდებული

მლნ – მილიონი

მლრდ – მილიარდი

მშპ – მთლიანი შიდა პროდუქტი

პ.პ. – პროცენტული პუნქტი

საქსტატი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სსსმ – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

ტბ – ტერა ბაიტი

შშმ – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

წ.წ. – წლიდან წლამდე

CAGR – საშუალო წლიური ზრდის ტემპი

IDFI – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

OECD – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

OSF – ღია საზოგადოების ფონდი

SDG – მდგრადი განვითარების მიზნები

STEM – მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიის და მათემატიკის საგნები

UNICEF – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი